140
2000 №2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული 2000



კლუბი, სახელად „ფლორო“ • ტესტი თინეიჯერებისთვის • რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი • კუდიანი ლაშქარი • კარგი, ვთქვათ, სხეული მოიხატე, მერე? • „ცისკარში“ იტალიურს სწავლობენ.

# „ვინა თქვა, თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი“.

## კახეთი

იოსებ
ნონეშვილი



აი, კახეთი...
მუხლებმაგარი
გომბორი, მხრებით ცას რომ ეხება,
ივრის პირებზე ფრთხილი ვერხვები
და შეთოვლილი მთების ფაფარი.

ვაზები, დილის ნამნასხურები,
ცა — ყვავილებით სავსე კალათა,
დაოქროვილი ხოდაბუნები
და ნამუხლარი მამა-პაპათა.

აი, კახეთი...
ზავთით, ზრიალით
უნავარდია მტერს ამ ტრამალზე,
ხარირემმოკლულ ფურებს, ლამაზებს
ცრემლი სდენიათ ალაზნიანი.

აქ ირხეოდა ხმები ლაშქრულის
და ქუდზე კაცი ფეხზე დგებოდა.
ვაჟკაცთა სისხლით იჟანგებოდა
მიწა, წყურვილით გულდაშაშრული.

აი, კახეთი...
მთებზე, ველებზე,
რომ არ ცხრებოდა ხმლების თარეში,
თვალმოციმციმე ქალიშვილები
ყვავილებივით სჩანან ყანებში.

ნაციხარებიც ჰყვავის ამიერ,
ათასი ბრძოლით გადაბუგული,
და დარბაისელ „მრავალჟამიერს“
გულიდან გულზე გააქვს გუგუნი.

ზოგან ალაზნის ტალღა ჩაიმღერს,
ზოგან ქაფქაფებს ზვირთი იორის
და აქლემების ქარავანივით
მიიზლაზნება კავკასიონი.

ხან მუხლს ჩაიხრის ქარი ველური
და ღამე დნება სხივთა ქარვაში
შორს ორი ალვა, როგორც ქალ-ვაჟი
დგას ყელით ყელზე გადახვეული.

წმინდაა, როგორც დედის მანდილი,
ჩემი ლამაზი ქვეყნის მიდამო,
მინდა სიმღერამ ამოვარდნილმა
გულის ფესვები ამოიტანოს.

მსურს ამ მიწაზე მირჩანერგილი,
მეც ვშრიალებდე, როგორც ჩინარი,
რომ სიკვდილამდე გზას მიჩალებდეს
ეს სილამაზე დაუჩრდილავი.

# „ნაკადული“


## საყმაწვილო ჟურნალი
## 2000 წ. №2
## გამოდის 1926 წლიდან


## ნომრის შინაარსი


საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ---------- 2
კონსტრუქტორობაზე მეოცნებე მსახიობი ---------- 3
დახტის, დახტის და არ იღლება ---------- 4
12 ფაქტი წმინდა ვალენტინის დღის შესახებ ---------- 5
ზღაპრის სახლი მეხუთე სართულზე ---------- 6
ტესტი თინეიჯერებისათვის ---------- 7
კუდიანი ლაშქარი (ბუნების კარი) ---------- 8
„ცისკარში“ იტალიურს სწავლობენ ---------- 10
რასაც მხოლოდ დღიურს გაანდობდი ---------- 12
პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისათვის ---------- 13
ოდოშხერი (მოსწავლეთა შემოქმედება) ---------- 16
კარგი ვთქვათ, სხეული მოიხატე, მერე? ---------- 18
„მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს“ ---------- 20
კითხვა – თქვენი, პასუხი – ჩვენი ---------- 21
??? ---------- 22
მსოფლიო კიდით-კიდემდე ---------- 23
კლუბი, სახელად „ფლორო“ ---------- 24
მაინც როგორი თამაშია ბეისბოლი? ---------- 28
რატომ ვამბობთ ასე? სიტყვის კონა ---------- 30
სიცილის გაკვეთილი ---------- 31
ვიქტორინა ჭკუის კოლოფებისათვის ---------- 32



21662



**რედაქტორი მანანა გელაშვილი**
სამხატვრო რედაქტორი ნოდარ სუმბაძე

მისამართი: 384096, თბილისი კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81 93-18-84.



ფასი სახელშეკრულებო
რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში


## თებერვალი

რომაული კალენდრით თებერვალი (ფებრუარიუს) წლის უკანასკნელი თვე იყო და ამიტომ ცოდვათა მონანიებისა და საყოველთაო განწმენდის ჟამად ითვლებოდა. თავდაპირველად დიეს ფებრუარიუს (განწმენდის დღე) ერქვა იმ დღესასწაულის პირველ დღეს, რომელიც ველ-მინდვრების, ტყეების, ჯოგებისა და მწყემსების მფარველი ღვთაების პატივსაცემად იმართებოდა ხოლმე. მოგვიანებით ამ დღის სახელწოდება მიიღო თვემაც. განწმენდის დღესასწაულის დროს საგანგებო რიტუალები სრულდებოდა. ქურუმი ორ ჭაბუკს შუბლზე მიადებდა სამსხვერპლო ცხოველისა თუ ფრინველის სისხლით განბანილ დანას, მერე ამ სისხლს რძეში დასველებული მატყლით მოწმენდდნენ. მსხვერპლად შეწირული ცხოველის ტყავისგან ქურუმები თასმებს აჭრიდნენ და ამ თასმებით ხელში სალოცავის ირგვლივ დარბოდნენ, თან მლოცველებს გამეტებით სცემდნენ, ისინი კი სიამოვნებით უშვერდნენ ზურგს.

დროთა განმავლობაში სიტყვა „ფებრუარიუს“ ოდნავ შეცვლილი სახით დამკვიდრდა ყველა იმ ერის ლექსიკონში, რომლებიც იულიანურ, შემდგომში კი გრიგორიანულ კალენდარს იყენებდნენ. ძველად ქართველი ხალხი ამ თვეს სურწყუნისს ეძახდა.

თებერვალში ინტენსიურად იზრდება დღის ხანგრძლივობა, საგრძნობლად თბება. ბუნება ზამთრის ძილისგან იღვიძებს, ხომ გახსოვთ ქართველი კაცის ნათქვამი: „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“...




საქართველოს ეროვნული



# ფაქტი

## „ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო



### ძეგვели ბავშვების გამოფენა

„ქარვასლაში“ მოეწყო ძეგვის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა ნახატების გამოფენა. ძეგვში ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებზე ფერისცვალების დედათა მონასტრის მონაზვნები და მასწავლებლები ზრუნავენ. ამ ადამიანთა გულის სითბოთი გამთბარი პატარები გარდა ჩვეულებრივი საგნებისა, სწავლობენ ხატვას, ქარგვას, თოჯინების გაკეთებას. წლის მიწურულს კი მათ თავიანთი შემოქმედება ფართო საზოგადოებას გააცნეს. გამოფენაზე მოსულმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II დიდად მოიწონა ბავშვების ნამუშევრები, შეაქო და დალოცა ნორჩი მხატვრები. ნინო ნინუამ და თამუნა დვალიშვილმა კი თანატოლთა სახელით მადლობა მოახსენეს პატრიარქს და საკუთარი ნახატები აჩუქეს.

### „ჭადრაკის ზეიმი“ რუსთავში

ადგილობრივი განათლების განყოფილებისა და რეგიონული საგანმანათლებლო ასოციაცია „რუსთავის“ ინიციატივითა და ძალისხმევით რუსთავის კლასიკურ გიმნაზიაში „ჭადრაკის ზეიმი“ გაიმართა. ზეიმზე 21 წლის რუსთაველმა საერთაშორისო დიდოსტატმა თამაზ გელაშვილმა გამართა სწრაფი და ერთდროული თამაშების სეანსები, რომლებშიც გიმნაზიის მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა მიიღეს მონაწილეობა. ღონისძიების მიზანი ქალაქ რუსთავში ჭადრაკის პოპულარიზაცია იყო.

### შეხვედრა „XX საუკუნესთან“



მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გაერთიანებულმა ლიტერატურის თაყვანისმცემლებმა შეხვედრა მოუწყვეს კლუბ „XX საუკუნის“ წევრ მწერლებს. ნორჩმა ლიტერატორებმა მიმოიხილეს ჟურნალ „XX საუკუნეში“ ხუთი წლის განმავლობაში დაბეჭდილი ვაჟა გიგაშვილის, ირაკლი ჯავახაძის, აკა მორჩილაძის, ზაალ სამადაშვილის, რეზო თაბუკაშვილის, გიგი სულაკაურის და სხვათა მოთხრობები და ლექსები. შეხვედრის მიწურულს სასახლის აღსაზრდელებმა სტუმრებს ჟურნალ „XX საუკუნის“ მეტად ორიგინალური ცოცხალი რეკლამა წარმოუდგინეს, ხოლო მათგან თავად ავტოგრაფები და სამახსოვრო ერთობლივი ფოტოსურათები მიიღეს.

### 17 ათასი დოლარი „ბელურებს“



ტრანსკავკასიური გაზსადენის მართვის კომიტეტის თავმჯდომარემ, კომპანია „ფი-ეს-ჯი ინტერნეშნლ“-ის პრეზიდენტმა და მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა ედ სმითმა ბავშვთა თავშესაფარს „ბელურები“ – საახალწლოდ გრანტი – 17 ათასი დოლარი გადასცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოხერხდება იმ შენობის პრივატიზება, რომელშიც ახლა „ბელურები“ არიან შეფარებულები. გულუხვ სტუმარს ბავშვებმა მშვენიერი კონცერტი აჩვენეს – იმღერეს, იცეკვეს, წაიკითხეს ლექსები. მერე კი ბატონ სმითს ინგლისურ ენაზე გადაუხადეს მადლობა გრანტისთვისაც, ნაჩუქარი თბილი ტანსაცმლისთვისაც და სტუმრობისთვისაც.

### „ოცნება“ – ბავშვებს

საქართველოს ინვალიდ ბავშვთა საქველმოქმედო ფონდმა „ოცნება“ ინვალიდი, ობოლი, მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლის და აფხაზეთიდან ლტოლვილი ბავშვებისათვის „დაბადების“ აღსანიშნავად საზეიმო კონცერტი გამართა. კონცერტით ნასიამოვნებ და გახალისებულ პატარებს მეცენატებმა სხვადასხვა სახის საჩუქრები გადასცეს.

### რელიგიის სწავლება სკოლებში

საპატრიარქოში გამართული მორიგი ტრადიციული პრეს-კონფერენცია საქართველოში განათლების სისტემის რეფორმის საკითხებს მიეძღვნა. საპატრიარქოს განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ მამა გიორგიმ ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „რელიგიისა და კულტურის“ სწავლების პრობლემებზე, კრიტიკულად შეაფასა მე-4, მე-5, მე-6 კლასებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო „რელიგია და კულტურა“. პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, რომ საპატრიარქოს და განათლების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნება სახელმწიფო სტანდარტი, შემდეგ – სახელმძღვანელო და ბოლოს გაიმართება კონკურსი. ყოველივე ამას კი შედეგად სრულყოფილი სახელმძღვანელოს შექმნა უნდა მოჰყვეს. გადაწყდება მეორე მნიშვნელოვანი საკითხიც – ვინ უნდა ასწავლოს საშუალო სკოლებში რელიგიის საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი თქვენგანი

# კონსტრუქტორობაზე მეოცნებე მსახიობი



11 წლის სანდრო მეტრეველი თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის ფრიადოსანი მოსწავლეა. სანდრო თეატრალურ სტუდია „ბერიკებში“ ეუფლება სამსახიობო ოსტატობას. მან მთავარი გმირები განასახიერა სტუდიის მიერ დადგმულ სპექტაკლებში „ერნის არაჩვეულებრივი ილუზიები“ და „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“.

სანდრო თეატრალურ სტუდია „ბერიკებში“ თავისი უფროსი დების რჩევით მივიდა. სანდროს ოჯახისთვის ხელოვნება და თეატრი მხოლოდ გატაცება როდია. მისი ბიძა – ლომერ ახვლედიანი ცნობილი კინოოპერატორია, უფროსი და – ნათია პროფესიონალი მსახიობია, შუათანა და – ლელა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია.

7 წლის სანდრომ სახუმარო სიმღერის თავისებური შესრულებით მოხიბლა სტუდიის ხელმძღვანელი, ბატონი გოგი თოდაძე და პედაგოგები. მალე სტუდიის პედაგოგებმა სპექტაკლში „ერნის არაჩვეულებრივი ილუზიები“ სანდროს მთავარი გმირის განსახიერება მიანდეს. კლან ეიკბორნის პიესის გმირს – პატარა ერნის თავში მოსდის უცნაური აზრები, რომლებიც სინამდვილედ იქცევა. საკუთარი ფანტაზიების გამო ბიჭს ათასგვარი განსაცდელი ხვდება. სანდროს გმირი ხან ჯაშუშს უთვალთვალებს, ხან კრივში მსოფლიო ჩემპიონის დასამარცხებლად რინგზე გასულ მოხუც დეიდას გულშემატკივრობს, ხან ფაშისტებს ებრძვის. სწორედ ამ უკანასკნელი ეპიზოდის გახსენება უყვარს სანდროს. მისმა გმირმა, ყოჩაღმა და მოხერხებულმა არნიმ არა მარტო თავი დააღწია ჯარისკაცებს, არამედ დაჯაბნა კიდეც ისინი.



უკვე 4 წელია სანდრო სტუდია „ბერიკებში“ ეუფლება სასცენო მეტყველებას, თანამედროვე ცეკვებს, პლასტიკას, სწავლობს ხელოვნებისა და თეატრის ისტორიას. განსაკუთრებით უყვარს სამსახიობო ოსტატობის გაკვეთილები, რომლებსაც მსახიობი დავით ნიკოლაძე უძღვება. ამ გაკვეთილებზე ბავშვები საკუთარ ფანტაზიებს ახორციელებენ. „ბერიკელებს“ შეუძლიათ თებერვლის სუსხიანი საღამო სტუდიაში ზაფხულის არდადეგების მხიარულ დღედ აქციონ, ჩვეულებრივი იატაკი მდინარედ წარმოიდგინონ და უხილავი ანკესებით თევზაობა წამოიწყონ. სანდროს ძალიან მოსწონს, რომ შეუძლია საკუთარი ფანტაზია თითქმის სინამდვილედ აქციოს. დაუდეგარსა და ცელქ ბიჭს მეცადინეობებსა და რეპეტიციებზე ვერ იცნობთ. „სანდრო ძალიან სერიოზულად, პასუხისმგებლობით ეკიდება თავის როლებს, – გვიამბობს სტუდიის ხელმძღვანელი, ცნობილი მსახიობი გოგი თოდაძე, – მისი ბავშვური უშუალობა და ბუნებით მომადლებული არტისტიზმი არა მარტო ჩვენ – პედაგოგებს, არამედ მაყურებელსაც ძალიან მოსწონს. სანდრო მოაზროვნე კაცია და ვფიქრობ, მას ცხოვრების გზაზე წარმატება ელის“.

გასული ზაფხული სანდროსთვის მეტად იღბლიანი გამოდგა. სტუდიამ ჯანი როდარის ზღაპრის მიხედვით დადგა სპექტაკლი „ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში“. სანდრომ ამ დადგმაში მთავარი გმირი განასახიერა. მისი კეთილი და სამართლიანი ჯელსომინო ცრუთა ქვეყნის მეფეს, ვერაგსა და ფლიდ ჯაკომონს (გიორგი ბუჯიაშვილი) უთანასწორო ბრძოლაში იწვევს. სანდროს გმირი ერთგული მეგობრებისა და საკუთარი ფანტაზიის წყალობით ქვეყანას იხსნის ტყუილისა და სიცრუისაგან. აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლის სცენაზე გამოსული ნორჩი მსახიობები საზოგადოებამ მქუხარე აპლოდისმენტებით დააჯილდოვა. სანდროს თქმით, იმ წუთებში ყველა „ბერიკელი“ ძალიან, ძალიან ბედნიერი იყო.

რამდენიმე წარმატებული სპექტაკლის შემდეგ „ბერიკელების“ ერთი ჯგუფი სტუდიის ხელმძღვანელებთან ერთად ურეკის ახალგაზრდულ ბანაკში გაემგზავრა. 10 წლის სანდრო პირველად მოგზაურობდა მშობლების გარეშე. დიდხანს არ დაავიწყდება მატარებელში სახელდახელოდ გაშლილი სუფრა და მეგობრების სიცილ-ხუმრობაში თეთრად გათენებული ღამე. თუმცა ბანაკში ყოფნა მაინცდამაინც არ მოსწონებია – დღის განრიგსა და დისციპლინას ერ შეეგუა. ასე ამბობს, წესიერად გართობა მხოლოდ დისკოთეკაზე შეიძლებოდაო.

სამაგიეროდ, მშობლებმა აჩუქეს დაუვიწყარი დღეები: სანდრო და მისი უმცროსი და – თათული მოსკოვსა და პეტერბურგში სამოგზაუროდ წაიყვანეს. დიდი პეტრეს ქალაქში ყველაფერი მოეწონა: სივრცე, შენობები, ხიდები, მუზეუმები, სასახლეები, შადრევნები, ღამით ხიდების გახსნასაც შეესწრო. მოსკოვიც ძალიან მოეწონა. რუსეთის დედაქალაქის მჩქეფარე, დინამიური ცხოვრების რიტმი უფრო გასაგები და მისაღები აღმოჩნდა მისთვის.

სანდრო ძალიან არის გატაცებული ტექნიკით, განსაკუთრებით კი მანქანებითა და თვითმფრინავებით. სერიოზულად ფიქრობს ავიაციის კონსტრუქტორი გახდეს. გაგიკვირდათ? ალბათ თქვენც ჩემსავით გეგონათ, სანდრო პროფესიონალ მსახიობობაზე ოცნებობს, მაგრამ თურმე ნუ იტყვით, ბიჭს სულ სხვა გეგმები ჰქონია სამომავლოდ. დიდი ხანია მანქანებისა და თვითმფრინავების მოდელებს აგროვებს. მოსკოვში რომ მიფრინავდა, მამის ნაცნობმა პილოტმა თვითმფრინავის კაბინა დაათვალიერებინა. გაოცებული აკვირდებოდა შტურვალებს, ღილაკებს, ათასგვარ მოწყობილობას. სანდრომ იცის, რომ იმისათვის, რათა კონსტრუქტორი გახდეს, ბევრი უნდა ისწავლოს, ამიტომაც ერთი სული აქვს, როდის დაიწყებს სკოლაში ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფიის შესწავლას. მაგრამ მეხუთე კლასში ჯერ ასეთ სერიოზულ საგნებს არ გადიან, ალბათ ამიტომაც ეჩვენება მოსაწყენად ის, რასაც სკოლაში ასწავლიან. საერთოდ კი მოწყენილობა და ერთფეროვნება ძალიან ეჯავრება. სულ რაღაცას ეძებს, იგონებს. მადლობა ღმერთს, კლასში თანამოაზრეებიც მრავლად ჰყავს და ათას რამეს იგონებენ, ერთობიან, თამაშობენ. ამას წინათ საკუთარი გაზეთი გამოუშვეს. სპორტული ჟურნალ-გაზეთებიდან საინტერესო ინფორმაცია ამოკრიბეს, ქაღალდზე გადაიტანეს, ქსეროქსზე გაამრავლეს და მეგობრებს დაურიგეს. სამომავლოდ ბევრი მსგავსი რამ აქვს ჩაფიქრებული.

– მსახიობი, ალბათ არ გავხდები, მაგრამ ძალიან მინდა ერთხელ მაინც განვასახიერო სცენაზე უარყოფითი გმირი. ყოველთვის დადებითი როლები მაქვს და მგონია, რომ ბოროტი პერსონაჟის თამაში ბევრად უფრო რთულია. ვნახოთ...

**ნანა მაყაშვილი**

# „დახტის, დახტის... და არ ჩერდება. ვინ არის?"



თქვენ გგონიათ კალია, ბურთი ან ბეღურა? არაფერიც! ეს ნიკა დახტის, დახტის და არ ჩერდება, გამოცანაც თვითონ გამოუთქვა თავის თავს როცა სულ პატარა იყო. და აი, ეს ცელქი და მოუსვენარი ნიკა ბიჭი გასაოცარ ლექსებს წერს. „ლამაზი იყო ის დღეს, ის ღამეც, როცა უეცრად შენ აღარ მყავდი", „სიო მოწყვეტავს მწყურვალე ფოთოლს და გაიტაცებს დასაწყურებლად", „ღამე ტიროდა წვიმის ცრემლებით და მეცემოდა ხელის გულზე მისი წვეთები". – ეს სტრიქონები ნიკა მელქაძემ ზოგი მაშინ შეთხზა, და დედას ჩააწერინა, როცა თვითონ ჯერ წერა-კითხვა არ იცოდა, ზოგიც მოგვიანებით.

ახლა ნიკა შვიდი წლისაა და თბილისის 126-ე საშუალო სკოლის მეორე კლასში სწავლობს, იმავდროულად მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ნორჩ შემოქმედთა სტუდიაშიც მეცადინეობს. გარდა იმისა, რომ ლექსებსა და პატარ-პატარა მოთხრობებსა თუ ჩანახატებს წერს, იგი მშვენიერი დეკლამატორიცაა. როცა მისი საყვარელი რევაზ ინანიშვილის მოთხრობებს ყვება, იფიქრებ, თვითონაც ან უკვე ნანახ-განცდილი აქვს ის, რასაც ეს დიდებული მწერალი მოგვითხრობს, ან ახლა ხედავს ცხადლივ. პოეტებიდან ყველაზე მეტად ვაჟა-ფშაველა მოსწონს. ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ბუნება უყვარს ძალიან: ჭიანჭველის უნებლიე მოკვლასაც დიდ ცოდვად უთვლის ახლობლებსა თუ ნაცნობებს და ამის ჩამდენს კარგა ხანს აღარ ელაპარაკება.





„ნაკადულმა" შარშან ნიკა მელქაძის ლექსებს მთელი გვერდი დაუთმო და საშუალება მისცა მკითხველებს გასცნობოდნენ მის ნაფიქრალს, სამყაროს, ადამიანების თუ საგნების მისეულ ხედვას. მას შემდეგ ნიკას ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა – იგი საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიატი გახდა. ამას კი უძღოდა პატარა შემოქმედის გამარჯვება ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივთა კონკურსში ნომინაციით „საკუთარი ლექსები"; წარმატებები ნორჩ პოეტთა და პროზაიკოსთა საქალაქო კონკურსში; საქართველოს მწერალთა კავშირის ლაურეატობა; პოეზიის საღამოები ურეკისა და კიკეთის დასასვენებელ სახლებში; ლექსების გამოქვეყნება ქართულ საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთებში; მისდამი მიძღვნილი საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საბავშვო გადაცემა „სააგენტო აბლაბუდა" და სხვ.

შვიდი წლის ნიკა მელქაძე – საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე ნორჩი სტიპენდიატი ისევ დახტის, დახტის და არ ჩერდება. ისევ წერს და წერს ლექსებსა და მოთხრობებს და ისევ არავის პატიობს ჭიანჭველის მოკვლას.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# 12 ფაქტი წმინდა ვალენტინის დღის შესახებ

ლეგენდის თანახმად, თავის არსებობას ეს დღესასწაული მღვდელ ვალენტინს უნდა უმადლოდეს. რომის იმპერატორმა კლავდიუს II გოთელმა (რომელიც მარკუს ავრელიუსის სახელითაც იყო ცნობილი) მკაცრად აუკრძალა თავის ლეგიონერებს ცოლის შერთვა, რათა ლაშქრობების დროს გულს სახლში არ გაეწია. მეომრებს მხსნელად მოევლინა მამა ვალენტინი, რომელიც ფარულად წერდა ჯვარს ლეგიონერებსა და მათ რჩეულებს. იმპერატორმა შეიტყო ამის შესახებ და მღვდლის ხაროში ჩაგდება ბრძანა, 270 წლის 14 თებერვალს კი განთიადზე მამა ვალენტინი სიკვდილით დასაჯეს.

♥ ♥ ♥

ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ყოველივე ეს ლამაზი ლეგენდაა და სხვა არაფერი. ისტორიული დოკუმენტებით კი ცნობილია ორი მოწამე ვალენტინის სახელი. ერთი მათგანია რომაელი მღვდელი, რომელიც 269 წელს დაიღუპა და მეორე – უმბრიელი მქადაგებელი, რომელიც 273 წელს დასაჯეს სიკვდილით. ამასთან ჩვენამდე მოღწეულ არცერთ დოკუმენტში ერთი სიტყვაც არ არის თქმული იმის შესახებ, რომ რომელიმე მათგანი შეყვარებულთა მფარველი ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, წელიწადში ერთხელ, სახელდობრ, 14 თებერვალს, ყველა მსურველს შეუძლია იხილოს წმ. ვალენტინის ნეშტი მადრიდში წმიდა ანტონიოს ეკლესიაში.

♥ ♥ ♥

მიჩნეულია, რომ სულ პირველი ვალენტინის ბარათი ორლეანის ჰერცოგმა შეადგინა 1415 წელს. ლონდონის ტაუერის საპყრობილეში გამომწყვდეულმა ჰერცოგმა საფრანგეთში მყოფ თავის მეუღლეს ლექსად დაწერილი ბარათი გაუგზავნა.

♥ ♥ ♥

ზოგიერთ ქვეყანაში დღემდე არსებობს 14 თებერვალს მთელი მომავალი წლისთვის ვალენტინების (ორივე სქესის) არჩევის ჩვეულება. სწორედ ასე გაიცნო თავისი მომავალი ცოლი ცნობილმა იტალიელმა მომღერალმა რობერტინო ლორეტიმ.

♥ ♥ ♥

„წმინდა ვალენტინის დღის სასაკლაოს“ სახელწოდებით შევიდა აშშ-ს კრიმინალურ ისტორიაში 1929 წლის 14 თებერვალს ცნობილი განგსტერის ალ კაპონეს მიერ მოწყობილი „გარჩევა“. გაუსწორდა რა თავის კონკურენტებს, იგი ჩიკაგოს დანაშაულებრივი სამყაროს უგვირგვინო მეფე გახდა.

♥ ♥ ♥



წმინდა ვალენტინის დღის წინამორბედია ძველრომაული ლუპერკალიები, რომლებიც ჯოგების ღმერთის, ლუპერკუსის პატივსაცემად იმართებოდა. დღესასწაულზე ხალხს ტანსაცმლის სახელოებზე მიმაგრებული ჰქონდა ქსოვილის სპეციალური ნაჭრები ზედ წაწერილი შეყვარებულის სახელით. ამგვარი ტრადიცია ბევრ ქვეყანაში დღემდე შემორჩენილია. საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა კი ძველ რომში არ იყო აუცილებელი.

♥ ♥ ♥

დაუწერელი კანონების თანახმად, წმინდა ვალენტინის დღეს შეიძლება ყველაფრის ჩუქება: დაწყებული „ბანალური“ კანფეტებითა და სუნამოთი, საგანგებოდ შეკვეთილი საწოლებითა და ბალიშებით დამთავრებული. მთავარია საჩუქარს გულის მოყვანილობა ჰქონდეს.

♥ ♥ ♥

სახელგანთქმულმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ თავისი სახლის ერთი ოთახი დაუთმო საჩუქრებსა და ბარათებს, რომლებიც მისთვის თაყვანისმცემელ ქალებს წმინდა ვალენტინის დღეზე უჩუქებიათ. ყველა საჩუქარი დანომრილია და წყობისად აწყვია თაროებზე. ეს ოთახი მუდამ ჩაკეტილია და მისი გასაღები მხოლოდ თავად აგასის აქვს.

♥ ♥ ♥

ყველა შეყვარებულის დღე მრავალი როკ-კომპოზიციის სახელწოდებაში მოიხსენიება: დაწყებული ინსტრუმენტული „Valentine Day“-დან (პოლ მაკარტნის პირველი სოლო ფირფიტა), ბრიუს სპრინგსტინის „Valentine Day“-ით დამთავრებული.

♥ ♥ ♥

თავის დროზე არსებობდა ყოველთა შეყვარებულთა დღესთან დაკავშირებული მრავალი ტრადიცია და ჩვევა. მაგალითად, XVII საუკუნეში ზოგიერთ ქვეყანაში წმინდა ვალენტინის დღეს ქალიშვილს უნდა შეეჭამა მაგრად მოხარშული კვერცხი და ბალიშზე 5 დაფნის ფოთოლი უნდა მიემაგრებინა და მაშინ ძილში მას თავისი საბედო მოევლინებოდა.

♥ ♥ ♥

სიტყვა „Valentine“ ინგლისურ ენაში ყველაფერთან ერთად, ფრინველთა საქორწინო პერიოდის დაწყებასაც აღნიშნავს. ეს კი დაკავშირებულია იმ უძველეს რწმენასთან, რომ 14 თებერვალს ფრთოსნები წყვილს ირჩევენ.

♥ ♥ ♥

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო „ვალენტინკების“, ვალენტინის ბარათების სამრეწველო გამოშვება, რამაც საგრძნობლად გაუადვილა საქმე შეყვარებულებს და ხელი შეუწყო დღესასწაულის პოპულარიზაციას.

# ზღაპრის სახლი მეხუთე სართულზე



კარგა ხანს მეზობლებს ვერაფერი გაეგოთ, გაოცებულები იჩეჩდნენ მხრებს – ნეტავ რა ხდება ასეთი მეხუთე სართულზე, კობალაძეებთან, რომ ყოველ საღამოს ერთი და იგივე საბავშვო სიმღერებს უკრავენ და მღერიანო. ხოლო როცა ბინის პატრონმა ქალბატონმა ნანამ კარდაკარ სიარული და ჭრელ-ჭრელი ქსოვილის ნაკუწების, ბაფთების, ბეწვეულის ნაგლეჯების თხოვნა დაიწყო, გაოცებას ერთგვარი შეშფოთებაც დაერთო.

საიდუმლოს პატარა ანიმ ახადა ფარდა. სულმა წასძლია, მოღიავებულ კარებში შეიჭყიტა, ფეხაკრეფით შეიპარა ბინაში და... გაოგნებული შედგა. ოთახში სკამებსა თუ სავარძლებზე ბრჭყვიალა ქაღალდები, თოჯინების ფერად-ფერადი ტანსაცმელი იყო დახვავებული; ვიღაც დეიდა ქაღალდის უზარმაზარ ფურცლებზე ხატავდა ტყეს, ზღაპრულ სასახლეს, მზეს, ყვავილებს; მეორე დეიდა სარკეში იყურებოდა, ღიღინებდა და რატომღაც თავზე რქებს იმაგრებდა; ვიღაც როიალზე უკრავდა, იქვე ტახტზე კი ნაირნაირი თოჯინები ისხდნენ, ის თოჯინები რაღაც სხვანაირები იყვნენ...

აღტაცებულმა პატარამ თვალები აახამხამა, ნერწყვი ჩაყლაპა და ჩაიჩურჩულა:

– აქ რა, ზღაპრის სახლია?

უფროსებმა ახლაღა შენიშნეს გოგონა, საქმიანობა შეწყვიტეს და ერთმანეთს გადახედეს:

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს ზღაპრის სახლია.

ამაზე უკეთეს სახელს ჩაფიქრებული საოჯახო თოჯინების თეატრისთვის ალბათ ვერც მოიგონებდნენ...

დიდხანს ოცნებობდა კომპოზიტორი ნანა კობალაძე პატარა თოჯინების თეატრის შექმნაზე, მაგრამ ხან რა უშლიდა ხელს, ხან რა. და ბოლოს, ზამთრის ერთ სევდიან ღამეს, როცა ჩაბნელებულ და გათოშილ ბინაში ჯდომა გაუსაძლისი გახდა, კარადა გადმოქექა, უჯრებიც ამოატრიალა, სადღაც ჭრელი ნაჭერი იპოვა, სადღაც – ბამბა, მუყაო, ღილები, მაკრატელი აამუშავა, მერე ლამპის შუქზე ძლივს გაუყარა ნემსში ძაფი და საქმეს შეუდგა. არა უშავდა, სიმპათიური თოჯინა გამოუვიდა, თვითონაც მოეწონა, ჰოდა, სწორედ მაშინ გადაწყვიტა აღარ გადაედო თეატრის საქმე. თანამოაზრეების პოვნა არ გასჭირვებია, იდეა მოუწონეს და სიხარულით ამოუდგნენ მხარში შვილი თაკო ნატროშვილი, მეზობლები – მხატვარი ნინა ჯიქია, სტუდენტი გიგა დენდურიშვილი, მისი და ნატო, ეკა ცერცვაძე და სხვები.

კობალაძეების ბინამ საფუძვლიანი სახეცვლილება განიცადა. როიალი ლოჯიაში გადაიტანეს, ლოჯიასა და დიდ ოთახს შორის სცენა გაიმართა, ხოლო ოთახი სულ ადვილად გადაკეთდა მაყურებელთა დარბაზად. მერე ზღაპრის სახლში პირველი ბინადრებიც გაჩნდნენ – თოჯინა კეკელო და მისი ძმები. პირველი სპექტაკლისთვის პიესა და მუსიკა ნანა კობალაძემ დაწერა, მისივე ნახელავი იყო თოჯინებიც, დევიც თვითონვე განასახიერა. გაფორმებით კი „კეკელო და მისი ძმები“ მხატვარმა ნინა ჯიქიამ გააფორმა.

მერე პრემიერის დღეც დადგა და ზღაპრის სახლი მეხუთე სართულზე მაყურებლებით აივსო. პატარები მათთვის ჩვეული უშუალობით ჩაერთვნენ კეკელოსა და მისი ძმების თავგადასავლებში, გულიანად იცინოდნენ მოუხერხებელ ძმებზე, აღტაცებული შეძახილებით ამხნევებდნენ ყოჩაღ კეკელოს. ხოლო როცა ერთი ციდა თოჯინების გვერდით „ნამდვილი“ დევი გამოჩნდა, ცოტა არ იყოს შეცბნენ, შეშინებულებმა მშობლების ძებნა დაიწყეს, რომელიღაცამ ტირილიც კი დაიწყო, მაგრამ სულ მალე დარწმუნდნენ, რომ დევი ბოროტი სულაც არ იყო და სიამოვნებით ჩაერთვნენ მის სწავლებაში.

პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. წარმოდგენის შემდეგ მაყურებლებს შინ წასვლა აღარ უნდოდათ. კულისებშიც შეიჭყიტეს, თოჯინებიც დაათვალიერეს, ხელში აიყვანეს, გამოელაპარაკნენ, მერე დევს შემოეხვივნენ, ხელს კიდებდნენ, რქებს უსინჯავდნენ, ვერა და ვერ იჯერებდნენ, რომ ეს ნანა დეიდა იყო, რომელიც მათი გულისთვის ზღაპრულ პერსონაჟად გადაქცეულიყო...

და მაშინ კიდევ ერთხელ ირწმუნეს ქალბატონმა ნანამ და მისმა მეგობრებმა, რომ არ არსებობს ქვეყნად ბავშვებზე უფრო მადლიერი მაყურებელი, და არ არსებობს იმაზე სასიამოვნო რამ, ვიდრე მათთვის სიხარულის მინიჭება, სასწაულის შექმნა და ამის წყალობით, მცირე ხნით მაინც საკუთარ ბავშვობაში დაბრუნებაა.

კეკელოს და მის ძმებს დასვენების საშუალება მიეცათ და ახლა უკვე კატა ხატულამ და თაგვებმა დაიწყეს პრემიერისთვის მზადება. კვლავ მარტივი, ბავშვებისთვის გასაგები სიუჟეტი, კვლავ მშვენიერი, სასაცილო თოჯინები, ხატოვანი დეკორაციები, მხიარული მუსიკა და პირველ წარმოდგენაში გამოცდაგამოვლილი თოჯინების ცოცხალ შემსრულებლებთან სინთეზის და თამაშში ბავშვების ჩართვის ელემენტი. ნანა კობალაძე ამჯერად კატა ხატულას ანსახიერებდა, მისი შვილიშვილები ნინო და ლევან ნატროშვილები კი – კნუტებს. მათი დედა თაკო ნატროშვილი სამ თოჯინა – თაგვს ატარებდა და ახმოვანებდა – ზულფია ხანუმას, ანას და ბომაჟას. ნინო ჯიქია (მხატვარ ნინა ჯიქიას ძმისწული) თაგვების მეფეს განასახიერებდა, გიგა დანდურიშვილი – ვეზირს, ნატო დანდურიშვილი – მსახურებს. კიდევ ერთი ცოცხალი პერსონაჟი – მოსამართლე ეკა ცერცვაძე გახლდათ.

ზღაპრის სახლში წარმოდგენილი ეს სპექტაკლიც დღესასწაულად გადაიქცა. აღფრთოვანებული ბავშვები გულწრფელად თანაუგრძნობდნენ თოჯინებს, გრძნობების დაუფარავად განიცდიდნენ ყველაფერს, რაც თაგვთა სამეფოში ხდებოდა. და არც ერთ მათგანს არ უკვირდა ის, რომ მათ ასეთი სანახაობა მოუწყვეს. მარტო მათმა



მშობლებმა შეძლეს შეეფასებინათ, რა ღირდა ამ სანახაობის შექმნა სწორედ დღეს, განელებული ენთუზიაზმის, დაცლილი საფულეებისა და ფასეულობათა საეჭვო გადაფასების პირობებში. ხოლო ეს მათ ალბათ იმიტომ შეძლეს, რომ მათი აღტაცება ბავშვებისას არ ჩამოუვარდებოდა.

ზღაპრის სახლის მასპინძელს, მის თანამოზრეებსა და მეგობრებს კიდევ ბევრი საინტერესო იდეა და გეგმა აქვთ, რომელთა განხორციელება კიდევ არა ერთ დღესასწაულს ჰპირდება პატარებს. მაგრამ დახმარების გარეშე ჩანაფიქრს ხორცშესხმა არ უწერია. არადა, როგორ გვინდა, რომ დაწყებული დღესასწაული არ შეწყდეს.

მანანა კარგარეთელი





# ვინ ხარ შენ?

## შემოთავაზებული ფიგურებიდან აირჩიე ერთ-ერთი, რომელიც მოგეწონება



კვადრატი – შრომისმოყვარეობა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის მოთხოვნილება, შეუპოვრობა, რომელიც ნებისმიერი სამუშაოს დამთავრებას უწყობს ხელს, – აი, რით გამოირჩევიან ჭეშმარიტი კვადრატები. გამძლეობის, მოთმინების და მეთოდურობის წყალობით კვადრატები თავის სფეროში საუკეთესო სპეციალისტები ხდებიან. კვადრატს უყვარს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესრიგი. ყველაფერი თავის ადგილზე უნდა იდოს და ყველაფერი თავის დროზე უნდა ხდებოდეს. კვადრატის იდეალია დაგეგმილი, წინასწარ განჭვრეტილი ცხოვრება, მას არ უყვარს „სიურპრიზები“ და ცვლილებები მოვლენათა ჩვეულ მსვლელობაში.

მართკუთხედი – პიროვნების დროებითი ფორმა, რომელსაც შეიძლება ატარებდნენ დანარჩენი მდგრადი ფიგურები სიცოცხლის გარკვეულ პერიოდებში. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც არ აკმაყოფილებს ცხოვრების ის წესი, რომელსაც ახლა მისდევენ და ამიტომ უკეთეს მდგომარეობას ეძებენ. ამიტომაც მართკუთხედის წამყვანი ნიშან-თვისებებია – ცნობისმოყვარეობა, მცდელობა, გამბედაობა, ცხოველი ინტერესი ყოველივე იმისადმი, რაც ირგვლივ ხდება. ისინი მზად არიან ახალი იდეების, ფასეულობების, აზროვნების საშუალებებისა და ცხოვრების აღსაქმელად და შესათვისებლად, ადვილად ითვისებენ ყოველივე ახალს.

სამკუთხედი – ეს ფიგურა ლიდერობის სიმბოლოა. ჭეშმარიტი სამკუთხედის მთავარი თვისება მთელი ყურადღებისა და ძალისხმევის მთავარ მიზანზე თავმოყრაა. სამკუთხედები ენერგიული, შეუპოვარი, ძლიერი პიროვნებები არიან, რომლებიც ისახავენ მიზანს და, როგორც წესი, აღწევენ კიდეც მას. ისინი პატივმოყვარენი და პრაგმატულები არიან, შეუძლიათ ზემდგომი ხელმძღვანელობის წინაშე საკუთარი და ხელქვეითების საქმიანობის მნიშვნელობის წარმოჩენა. იმის გამო, რომ სამკუთხედებს განვითარებული აქვთ ძლიერი მოთხოვნილება იყვნენ მართლები და მართონ მდგომარეობა, ისინი გამუდმებით მეტოქეობას და კონკურენციას უწევენ სხვებს.

წრე – ხუთი ფიგურიდან ყველაზე კეთილმოსურნეა. მას გააჩნია მაღალი მგრძნობიარობა, განვითარებული ემპათია – თანაგრძნობის უნარი. წრე საკუთარივით აღიქვამს და განიცდის სხვის ჭირსა და ლხინს. იგი ბედნიერია, როცა ყველა კარგ ურთიერთობაშია ერთმანეთთან. ამიტომაც როცა წრეს ვინმესთან კონფლიქტი უხდება, პირველი სწორედ ის თმობს ხოლმე. იგი ცდილობს საპირისპირო თვალსაზრისებშიც კი იპოვოს საერთო.

ტეხილი – ეს ფიგურა შემოქმედების სიმბოლოა. სრულიად განსხვავებული, საპირისპირო იდეების კომბინირება და ამ საფუძველზე რაღაც ახლის, ორიგინალურის შექმნა – აი რა მოსწონთ ტეხილებს. ისინი არასდროს არ კმაყოფილდებიან იმ საშუალებებითა და ხერხებით, რომელთა მეშვეობითაც ახლა კეთდება ან წარსულში კეთდებოდა ესა თუ ის რამ. ტეხილი ყველაზე აღტაცებული, ყველაზე აღგზნებადია მოცემულ ხუთ ფიგურას შორის, როცა მას ახალი და საინტერესო აზრი უჩნდება, იგი მზადაა მთელ ქვეყანას ამცნოს მის შესახებ. ტეხილები საკუთარი იდეების დაუცხრომელი მქადაგებლები არიან და ბევრის აყოლიებაც შეუძლიათ.

# კუდიანი ლაშქარი

*ვირთხამ, ბუზმა და ტარაკანამ უტიფრად დაიკავეს ადგილი ჩვენს სუფრასთან და თვითნებურად აიყვანეს თავი შინაური ცხოველების რანგში. ადამიანებს შევიწროება მოუხდათ. ჩვენ უყოყმანოდ ვუთმობთ მათ ცუდად დაცულ ბეღლებს, გულმოდგინედ ვანადგურებთ მათ მოსისხლე მტრებს – მელიებს, ძერებს, გველებს, კვერნებს, სინდიოფალებს და ამით მათ სასარგებლოდ ვცვლით ბუნებრივ წონასწორობას.*

*ისინიც მშვენივრად იმახსოვრებენ და აცნობიერებენ ამას. თუმცა ვირთხები გადაჭრით უგულებელყოფენ ყოველგვარ აღწერა-გამოკვლევებს, მიახლოებით დადგენილია, რომ მათი საერთო რაოდენობა პლანეტაზე ორჯერ აღემატება ადამიანთა რაოდენობას. ამასთან ზოგი ქალაქი თუ ქვეყანა უფრო მეტად ეჯაშნიკებათ, სხვები კი – ნაკლებად. მაგალითად, საფრანგეთს ნაკლებად სწყალობენ – აქ ცხრა სულზე ერთი ვირთხა მოდის. სამაგიეროდ ინდოეთი მოსწონთ ძალიან - ერთ სულზე ცხრა ვირთხა. დედამიწის ზოგიერთ რაიონში კი ვირთხები პირდაპირ ყელამდეა – წყნარი ოკეანის ზოგ კუნძულზე თითო მცხოვრებს 20-30, ზოგან კი 100 ვირთხა უპირისპირდება.*

*ინდუსტრიულმა აშშ-მ არაერთხელ გაილაშქრა თავისი ვირთხების წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სადღეისოდ აქ 400 მილიონამდე მღრღნელი ჰყავთ, რომლებიც ძარცვავენ ელევატორებსა და ბეღლებს, იწვევენ ტიფს, ღრღნიან ელექტროსადენებს, იწვევენ მოკლე ჩართვებსა და ხანძრებს.*

## ყავისფერი, შავი, ნაცრისფერი...

თავიდან არსებობდა ყავისფერი ვირთხა. ეს ნაკლებ პატივცემული არსება ევროპაში შუა აღმოსავლეთიდან ჩამოჰყვა დამპყრობთა პირველ ტალღას. უნდა ითქვას, რომ ვირთხებს ყოველთვის განსაკუთრებით უყვარდათ გადაადგილების საშუალებები. ჩვენს დროში ყავისფერ ვირთხაზე მოგონებებიღა დარჩა. ისტორიული თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ იგი ჯვაროსნული ლაშქრობების მთავარი მსხვერპლი გახდა. XIII საუკუნიდან დაწყებული უკან დაბრუნებულმა საქრისტიანოს ლაშქრის გემებმა ტრიუმებში უსახური კუდიანი არსებების ჩამოყვანა იწყეს: ვინ რა იცოდა, თუ ისინი ხიროსიმას ბომბებზე მეტ სიკვდილს მოიტანდნენ! ეს არსება შავი ვირთხა იყო. როგორც კი ნაპირზე გადმოვიდა, იგი კონტინენტის კოლონიზაციას შეუდგა. ჯერ ყავისფერ ვირთხას გაუსწორდა. ამასთან იმდენად წარმატებულად ჩაატარა ოპერაცია, რომ მისმა ყავისფერმა თანამოძმემ უდრტვინველად შეავსო გადაშენებულ ცხოველთა რიგები.



ამის შემდეგ გადამთიელმა ვირთხამ ადამიანის მოდგმას შეუტია. თავისავით შავი ჭირი შეჰყარა მას. XIV საუკუნეში შავმა ჭირმა 30 მილიონი ქრისტიანი და რიკოშეტით ამდენივე სხვა რწმენის ადამიანი მოსრა.

ამ ხნიდან მოყოლებული შავი ვირთხა ჩვენი განუყრელი თანამგზავრი გახდა. მომდევნო საუკუნეებში ადამიანები მთელ თავის არსენალს იყენებდნენ ვირთხების წინააღმდეგ, მათთან ბრძოლაში მეცნიერებსაც რთავდნენ, გამომგონებლებსაც, მაგრამ ამაოდ.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ბოროტება ყოველთვის ისჯება და შავ ვირთხასაც მოევლო. მისი კონკურენტი აზიის სიღრმეში გამოჩნდა. ეს იყო ნაცრისფერი ვირთხა, რომელმაც XVIII საუკუნეში მთელი ევროპა გაავსო. ნაცრისფერ არსებათა არმია მთელ კონტინენტს მოედო, მერე დიდი იალქნიანი გემების ტრიუმებში მოკალათებულმა ატლანტიკის ოკეანე გადალახა და ჩრდილო ამერიკის კოლონიზაციას შეუდგა.

ნაცრისფერი ვირთხის პირველი ამოცანა შავი ვირთხის დამარცხება იყო – სურსათ-სანოვაგის კონტროლი ამიერიდან მის ხელში უნდა გადასულიყო. პირველივე რაუნდში გაირკვა, რომ ბრძოლა არათანაბარი იყო. რინგის ერთ კუთხეში იყო ბუმბულის წონის შავი ვირთხა – წონა 175 გრამი, სიგრძე 24 სანტიმეტრი. მეორეში – 40 სმ. სიგრძისა და გირვანქამდე წონის ნაცრისფერი მძიმე წონოსანი. თითქოს შავ ვირთხასაც ყავისფერი თანამოძმის ბედი ელოდა, მაგრამ გადამწყვეტი როლი აქ სი-

ვრცის ფაქტორმა შეასრულა. შავი სიმაღლეს ამჯობინებდა – სახურავებზე, სხვენებსა და მანსარდებში იყო მოკალათებული და საჭიროების შემთხვევაში მშვენივრად დაცოცავდა სატელეფონო მავთულებზეც კი. ხოლო ნაცრისფერს „იატაკქვეშეთი“ – მიწა, სარდაფები, საწვიმარი მილები ერჩივნა.

მაშ ასე – იმისათვის, რათა ადამიანის სიახლოვეს ცოცხალი გადარჩენილიყო, ნაცრისფერმა ვირთხამ იატაკქვეშეთს მიაშურა. მაგრამ ეს სივრცე ვერაფერს უშველიდა, საოცრად ჭკვიანი რომ არ ყოფილიყო. ექსპერიმენტატორები გაოცებულები არიან, როგორ მოხერხებულად იხსნიდა თავს ნაცრისფერი ვირთხა ყოველგვარი ლაბირინთიდან. მაგრამ ეს თვისება თითქმის ყველა მღრღნელს ახასიათებს. ვირთხის ორიგინალობა კვლევით გაუმაძღრობაში და ყოველივე ახალზე განსაკუთრებულ რეაქციაში გამოიხატება. ვირთხა გამუდმებით ეძებს ახალს, ხოლო როცა იპოვნის, იშვიათი სიფრთხილით ეკიდება. მაგალითად, შემჩნეულია, რომ როგორც კი გაჩნდება საჭმლის პოტენციური წყარო (ახალი საწყობი, მაღაზია, მეფრინველეობის ფაბრიკა და ა.შ.), ვირთხები უმალ იქ არიან, თუმცა ადრე ამ ადგილზე მათი ჭაჭანება არ იყო. მაგრამ მეორე მხრივ, ახალი, მათი ყოფისთვის უჩვეულო ელემენტის გამოჩენას შეუძლია სამუდამოდ დააფრთხოს და გააქციოს ისინი, იმ შემთხვევაში თუ ამ სიახლისადმი უარყოფითი აზრი გაუჩნდებათ. თუ შეიძლება, რომ ახალი კბილით მოსინჯონ, ვირთხები მინიმალური რაოდენობით აჭაშნიკებენ მას და იცდიან. თუ ოდნავ მაინც დაეჭვდებიან, რომ ეს ახალი მავნებელია, ნურას უკაცრავად, არასგზით არ გაეკარებიან.

ვირთხები იმახსოვრებენ იმ გზის უმცირეს დეტალებს, რომლითაც სიახლის დასაზვერად იარეს. ამაში გრძნობის ყველა ორგანო მონაწილეობს. ისინი არეგისტრირებენ იატაკის ხორკლიანობას, სხვადასხვა სუნებს, ხმაურებს, საკუთარი ნაბიჯების ექოს. გამოდის, რომ ვირთხა ყოველთვის პროგრესის გზით დადის.

ვირთხებში ერთი ძალზე საინტერესო მოვლენა შეინიშნება. საქმე ის არის, რომ როგორც ჩანს, ვირთხა ერთადერთი ცხოველია, რომელსაც შეუძლია ისე მოკლას მეორე ცხოველი, რომ ერთხელაც არ შეეხოს მას. თუ დიდ ქილაში ერთად მოათავსებთ შავ და ნაცრისფერ ვირთხებს, მეორე დღეს ნაცრისფერები უკლებლივ დაგხვდებიან, შავების სამი მესამედი კი – მკვდარი. ამასთან არც ერთ მათგანს ერთი ნაკაწრიც კი არ ექნება სხეულზე.

სხვა სახეობათა ცხოველები თანაბარი იარაღით იბრძვიან. ვირთხები კი არა. კაცმა რომ თქვას, მათ ბრძოლა, როგორც ასეთი, არც კი აქვთ ხოლმე. უმეტესწილად ბალანაშლილი თავდამსხმელი უბრალოდ კბილების კრაჭუნით უვლის გარს მსხვერპლს. რომ დაიღლება, აგრესორი თავის საქმეებზე მიდის, აქოშინებული მსხვერპლი კი ისევ ძირს წევს. თავდამსხმელი ცოტას დაისვენებს და ისევ იწყებს მწოლიარეს გარშემო ტრიალს. მსხვერპლი რამდენიმე საათში კვდება. ყოფილა შემთხვევები, როცა სიკვდილი 90 წუთში დამდგარა.

სიკვდილის მიზეზი გამოცანად რჩება. მკვდარი ვირთხის ყველა შინაგანი ორგანო სრულ წესრიგშია, არ



ეტყობა გარეგანი თუ შიდა ზიანის არავითარი ნიშანი. რომ იტყვიან, ვირთხა საღ-სალამათი კვდება. კვდება სტრესისგან, ანუ ფსიქიკური განცდისგან. ეს იმითაც დასტურდება, რომ ვითარებისდა მიხედვით, უმოწყალოდ მოკლული სულ ადვილად გადადის უმწეო „მოკლულთა“ რიგებში. საკუთარ ტერიტორიაზე მრავალგზის გამარჯვებული, მეზობელ ტერიტორიაზე რომ მოხვდება, უდრტვინველად კვდება. ვირთხებს აშკარად „უცხოს კომპლექსი“ სჭირთ და დანაშაულის გრძნობა ფსიქოლოგიურ ხარაკირიზე უბიძგებს მათ.

ერთი ვირთხა წელიწადში 15 კილოგრამ ჩვენ საჭმელს ჭამს და კიდევ 75 კილოგრამს უმოწყალოდ აფუჭებს. გამოდის, რომ დედამიწაზე არსებული 7,5 მილიარდი ვირთხა ადამიანის სუფრიდან 700 მილიონ ტონა საჭმელს იტაცებს. ე.ი. ყველა მეექვსე გლეხი ვირთხებისთვის მუშაობს.

ვირთხა მშიერი ვერ ძლებს. იგი აუცილებლად მაძღარი უნდა იყოს. ისე, რომ გამოთქმა „ეკლესიის ვირთხასავით ღარიბიაო“ მთლად სწორი არ არის. თუ ვირთხა ეკლესიაში ცხოვრობს, მაშასადამე, ის იქ საჭმელს შოულობს. კერძოდ, ყოფილა შემთხვევები, როცა უნახავთ, როგორ მიაღწიეს ვირთხებმა ჯაჭვზე ცოცვა-ცოცვით კანდელამდე კუდი ზეთში ჩაყვეს, მერე კი გაილოკეს. ამ ხერხით ვირთხების კოლონიებს ერთ ჯერზე მთელი რეზერვუარის დაცლაც შეუძლიათ.

ვირთხებს ურთიერთდახმარება სძულთ, მაგრამ როცა პირის ჩატკბარუნება შეიძლება, ისინი ორგანიზების საოცარ უნარს იჩენენ. ეს განსაკუთრებით კვერცხების მოპარვისას მჟღავნდება. დამკვირვებლებმა ფირზე აღბეჭდეს ახალი კვერცხების გადაზიდვის მათეული მეთოდი. ერთ-ერთი ქურდი ზურგზე წვებოდა და თათებით ბღუჯავდა კვერცხს, დანარჩენი კოლეგები კი კუდში ჩაავლებდნენ და ისე მიათრევდნენ სამალავისკენ.

ვირთხებთან ბრძოლა სიზიფეს შრომასავითაა. რაც უნდა მძლავრი კამპანია გაიშალოს მათ გასაჟლეტად, თუ ერთი-ორი ეგზემპლარი მაინც გადარჩა, კოლონიის რიცხოვნობა სულ მოკლე დროში აღდგება. და მაინც ბრძოლა აუცილებელი და გარდაუვალია. ზოგი პალეონთოლოგის აზრით, სწორედ ვირთხების მიზეზით გადაშენდნენ მეზოზოიური ხანის გიგანტური ქვეწარმავლები. მათი წარმოდგენით, ვირთხამ იმით დაიწყო, რომ ხვლიკების კვერცხები ამოწუწნა და მათი შთამომავლობა მოსპო. ეს პირველი ზარი გახლდათ. ანუ იმის ნიშანი, რომ მღრღნელს, რომელიც ბრონტოზავრებსა და დიპლოდოკს გაუსწორდა, წამითაც არ უნდა მოვაშოროთ თვალი.

***თარგმანი ფრანგულიდან***

# „ცისკარში“ იტალიურს სწავლობენ

1996 წელს აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისათვის საქართველო-იტალიის თანამეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელის, აწგანსვენებული ვახტანგ ესვანჯიას ინიციატივით თბილისში დაარსდა საერო სკოლა „ცისკარი“. ბატონ ვახტანგთან ერთად ამ ჰუმანური აქციის თანამონაწილე გახლდათ იტალიის ქალაქ პალერმოს მერი, ბატონი ლეოლუკა ორლანდო, რომელმაც თანამოქალაქეების დახმარებით შეძლო შორეულ საქართველოში დაეფინანსებინა სკოლა, სადაც მშობლიურ კერას მოწყვეტილი ბავშვები ისწავლიდნენ. პირველად დახმარების ხელი იტალიელებმა აფხაზეთიდან ლტოლვილთა ოჯახებს უფრო ადრე, 1993 წელს, გამოუწოდეს, როცა სტუმართმოყვარე პალერმოელთა ოჯახებმა თავისთან დასასვენებლად მიიწვიეს ბავშვები. მას შემდეგ ტრადიციად იქცა პატარა ქართველი ლტოლვილების პალერმოში მიწვევა. მარტო შარშან პალერმოელებმა 600 ლტოლვილ ბავშვს უმასპინძლეს.

ოთხი წლის წინ კი ზაფხულის არდადეგებიდან თბილისში დაბრუნებულ ლტოლვილ პატარებს იტალიელმა მეგობრებმა კიდევ ერთი სიურპრიზი დაახვედრეს – დედაქალაქში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ეროვნული სკოლა „ცისკარი“, რომლის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა რუსული და ინგლისური ენების, განსაკუთრებით – იტალიურის ინტენსიურ სწავლებას.

სკოლის ახალგაზრდა პედაგოგიური კოლექტივი, დირექტორის – ქალბატონ მაია ლაგვილავას ხელმძღვანელობით, ენთუზიაზმით შეუდგა ახალი სასწავლო კერის შენებას. პირველი ნაბიჯების გადადგმა მეტად ძნელი აღმოჩნდა თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობდა იტალიური ენის სწავლების მეთოდური ლიტერატურა. მოკრძალებული გამოცდილების მქონე მასწავლებლები ექსპერიმენტების საშუალებით ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ, ცდილობდნენ თავიანთი ცოდნა მისაწვდომი და საინტერესო გზით გადაეცათ აღსაზრდელებისათვის. ახალგაზრდა პედაგოგებმა დახმარებისთვის მიმართეს ღვაწლმოსილ ფილოლოგსა და პოლიგლოტს, საქართველოში იტალიური ენის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნეს, ბატონ ვანო ცაგარეიშვილს, რომლის გამოცდილება ძალიან წაადგათ. „ცისკრელთა“ ძალისხმევამ შედეგი გამოიღო: დაწყებითი კლასების იტალიური ენის სახალისო სახელმძღვანელო, რომელიც თავად სკოლის პედაგოგმა რუსუდან ყოინაშვილმა შექმნა, პატარებში ჯერ ინტერესს აღძრავს, მოგვიანებით კი სწავლის სურვილსაც უღვიძებს. „ცისკრის“ სასწავლო პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა იტალიის განათლების სამინისტრომ, რომელმაც თავისი წარმომადგენლები მოავლინა საქართველოში. იტალიელმა ექსპერტებმა საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე შექმნილი იტალიური ენის შესწავლის მეთოდიკა შესთავაზეს ქართველ მასწავლებლებს. დღესდღეობით მაღალ კლასებში მოსწავლეებს იტალიურ ენასა და ლიტერატურას იტალიელი პედაგოგები ემანუელა ბიანკი, ლუჩია იტალიკა და ირენე სკალვინა ასწავლიან. იტალიელი ქალბატონები აღფრთოვანებით საუბრობენ თავიანთ ნიჭიერსა და თავაზიან მოსწავლეებზე. სკოლა და განსაკუთრებით იტალიური ენის მასწავლებლები ძალიან ამაყობენ თავიანთი ყოფილი მოსწავლეებით. თბილისის უცხო ენების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა – ნინო სოკოლოვამ და ქსენია ხუნწარიამ მისაღებ გამოცდებზე ისეთი ცოდნა გამოამჟღავნეს იტალიურ ენასა და ლიტერატურაში, რომ „ცისკარმა“ უნივერსიტეტიდან მადლობის წერილი მიიღო.

ახალმა სკოლამ მალე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი თბილისის ცნობილ სკოლებს შორის. დღეს „ცისკარი“ კომერციული სასწავლებელია და აქ მეტწილად დედაქალაქის მკვიდრი მოსწავლეები სწავლობენ, ლტოლვილი ბავშვები (ისინი, ვისთვისაც თავდაპირველად შეიქმნა „ცისკარი“) კი არსებითი შეღავათებით სარგებლობენ.

სკოლის სასწავლო პროგრამაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსწავლეების ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. მოსწავლეებს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის ხელოვნებას, ისტორიასა და კულტურას თავიანთი საქმის გულშემატკივრები და ნამდვილი პროფესიონალები ასწავლიან.

„ცისკრელებს“ ხელოვნების ისტორიას ცნობილი კინომცოდნე, ბატონი გოგი დოლიძე აზიარებს; რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ქალბატონ თათია ხაინდრავას მეტყველების კულტურის გაკვეთილები მიჰყავს; პროფესორი კოტე გოგოლაშვილი მსოფლიო ლიტერატურის თვალუწვდენელ სამყაროში უძღვება მოსწავლეებს. ქორეოგრაფები თემურ ქემხაძე და მარინა ჩხარტიშვილი პატარებს ქართულ ცეკვებთან ერთად მსოფლიოს ხალხთა ცეკვებსაც ასწავლიან.

შარშან რეჟისორ გოგი გაბელაიას



ხელმძღვანელობით სკოლაში შეიქმნა თეატრალური დასი, რომელშიც 22 ნორჩი „ცისკრელი“ გაერთიანდა. სასცენო დებიუტისთვის ბავშვებმა რეჟისორთან ერთად ყველასთვის ცნობილი და საყვარელი პიესა „პინოქიო“ შეარჩიეს, რომლის ლიბრეტო სკოლის ძველმა მეგობარმა, ვატიკანის რადიოს ერთ-ერთმა წამყვანმა, დრამატურგმა დონი ლავანიამ დაწერა. სპექტაკლისათვის საცეკვაო ნომრები მოწვეულმა ქორეოგრაფმა ელენე შკუნოვამ დადგა. დეკორაციები და ზღაპრის გმირების კოსტიუმები მხატვარმა თინა ჰაინემ შექმნა. დიდი მონდომებით, თავდაუზოგავად მუშაობდნენ რეჟისორიც და მსახიობებიც. პრემიერის წინ ყველა ძალიან ღელავდა – სპექტაკლის შემქმნელებიც, მონაწილეებიც, სკოლის მესვეურებიც, მშობლებიც. ამას კი სხვა მიზეზების გარდა, ერთი, განსაკუთრებული მიზეზიც ჰქონდა... ქართველ ბავშვებს სპექტაკლი იტალიურ ენაზე უნდა ეთამაშათ. პრემიერამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. „ცისკრელებითა“ და მათი მრავალრიცხოვანი სტუმრებით გადაჭედილი გრიბოედოვის სახელობის თეატრის დარბაზში სპექტაკლის დასასრულს მქუხარე ტაში კარგა ხანს არ წყდებოდა. განსაკუთრებული აღფრთოვანება საქართველოში სტუმრად მყოფმა იტალიელმა საქმოსნებმა გამოხა-

ტეს – ისინი გაოცებულნი იყვნენ პატარა ქართველი მსახიობების თამაშითა და მათი გამართული იტალიური მეტყველებით.

პირველ დიდ სიხარულს კიდევ უფრო დიდი მეორე სიხარული მოჰყვა – სპექტაკლის პრემიერიდან ოთხი თვის შემდეგ პიესის ლიბრეტოს ავტორმა, ბატონმა დონი ლავანიამ იტალიაში საგასტროლოდ მიიწვია „ცისკრელები“. სკოლამ მშობლების დახმარებით გამონახა იტალიაში გასამგზავრებელი თანხები და სულ მალე 22 პატარა ქართველი სპექტაკლის რეჟისორის გოგი გაბელაიასა და რამდენიმე მასწავლებლის თანხლებით საოცნებო იტალიას ეწვია.

იტალიაში პირველი სპექტაკლი ქალაქ რიეტიში გამართეს. რიეტიში ბაგრატიონთა შთამომავალმა ბატონიშვილმა ქეთევანმა უმასპინძლა. სწორედ მან დაიქირავა რიეტის საოპერო თეატრის დარბაზი, სადაც მისი პატარა თანამემამულეები პირველად წარსდგნენ იტალიელების წინაშე. ევროპაში ცნობილი, 300-წლიანი ისტორიის მქონე თეატრის დარბაზში პატარა ქართველებმა შეძლეს იტალიელი მაყურებლის მოხიბვლა. ამ მშვენიერ ქალაქში „ცისკრელებმა“ მხოლოდ ორი სპექტაკლი გამართეს, თუმცა ბატონიშვილი ქეთევანის თქმით, შორეული ქვეყნიდან ჩამოსულმა იტალიურად მოსაუბრე ბავშვებმა ისე მოხიბლეს რიეტელები, რომ კვლავაც სიამოვნებით დაესწრებოდნენ ქართველების რამდენიმე სპექტაკლს.

რიეტიდან მზიან პალერმოში გაემგზავრნენ. ქალაქის მოსახლეობამ გულთბილად მიიღო ნორჩი ქართველი მსახიობები და მათი სპექტაკლი. პალერმოში „ცისკრელებმა“ ხუთი წარმოდგენა გამართეს, ერთ-ერთ მათგანს თვით ქალაქის მერი, ბატონი ლეოლუკა ორლანდო დაესწრო. ბატონი ლეოლუკა თანამემამულეებთან ერთად დიდხანს უკრავდა ტაშს „პინოქიოს“ ზღაპრის გმირებს: ეშმაკ მელაკუდას – ნინო ჭკუასელს, უილბლო კატას – გიორგი ერაძეს, კეკლუც კოლომბინას – რუსუდან ჟორჟოლიანს, უშიშარ არლეკინს – დათო ვაშაძეს და თავად საზრიანსა და მოხერხებულ პინოქიოს, რომელიც თეონა შალამბერიძემ განასახიერა.

პალერმოში სტუმრობისას საოცრად გაუმართლათ, იმ დღეებში ქალაქში მსოფლიოს უდიდესი მხატვრის სალვადორ დალის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. პალერმოს საგამოფენო დარბაზში მიღებული შთაბეჭდილებები, ალბათ, მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ „ცისკრელებს“.

პალერმოდან რომში ჩასული ნორჩი მსახიობები და მათი მასწავლებლები გულთბილად მიიღეს საქართველოს საელჩოში. საქართველოს ელჩი იტალიაში, ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე გვერდიდან არ სცილდებოდა თავის პატარა თანამემამულეებს. მსოფლიოს უძველეს ქალაქში მეგზურობა თავად ქალბატონმა რუსუდანმა გაუწია. რომში ბავშვებმა საკუთარი თვალით იხილეს საუცხოო ტაძრები, მუზეუმები, ხელოვნების უკვდავი შედევრები, რომელთა შესახებ მასწავლებლების გადმოცემით იცოდნენ და წიგნებში ენახათ. წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ყველაზე ვატიკანის სიდიადემ, წმინდა პეტრესა და წმინდა ანგელოზის ტაძრებმა.

ბავშვებმა გული იჯერეს ღამის რომში ხეტიალით, ესპანეთისა და ვენეციის მოედნებზე იტალიელი თანატოლები გაიცნეს. ცხოვრების განსხვავებული წესისა და სხვადასხვა ინტერესების მიუხედავად, ქართველმა თინეიჯერებმა ადვილად გამონახეს საერთო ენა იტალიელ თანატოლებთან. ჩვენი ბავშვები ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ მათი იტალიელი თანატოლების უმრავლესობა სკოლაში მეცადინეობის შემდეგ მუშაობს და ჯიბის ფულს თავად შოულობს. იტალიელი თინეიჯერები მოტოციკლეტებით დაქრიან, მუსიკაში უპირატესობას ტექნოსა და მძიმე როკს ანიჭებენ, საკმაოდ დაუდევრად, შეიძლება ითქვას უგემოვნოდ იცვამენ. იტალიელი მოზარდების უმრავლესობას სკოლებსა და კოლეჯებში მხოლოდ ის საგნები აინტერესებს, რომლებიც მომავალში პროფესიულ საქმიანობაში გამოადგება.

იტალიიდან სამშობლოში დაბრუნებულები დიდხანს უზიარებდნენ მშობლებს, ახლობლებსა და მეგობრებს შორეული და მშვენიერი ქვეყნიდან გამოყოლილ შთაბეჭდილებებს.

პირველმა წარმატებულმა გასტროლებმა ნაყოფი გამოიღო და ნორჩმა მსახიობებმა უკვე მიიღეს მიწვევები იტალიის რამდენიმე ქალაქიდან. მომავალ ზაფხულს „ცისკრელები“, ალბათ, კვლავ ეწვევიან იტალიას. იტალიის ქალაქ პეშეში ყოველწლიურად იმართება ფესტივალი „პინოქიო“, სადაც სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული თეატრალური დასები წარადგენენ ამ შესანიშნავი ზღაპრის თავისეულ ვარიანტებს. ფესტივალზე, რომელიც 2000 წლის შემოდგომაზე გაიმართება, სკოლა „ცისკრის“ თეატრალური დასი უკვე ოფიციალურადაა მიწვეული.

წელს თბილისის კერძო სკოლა „ცისკარი“ საერთაშორისო ორგანიზაცია იუნესკოში ასოცირებული სასწავლებლების წევრი გახდა. ეს საპატიო ადგილი „ცისკარმა“ მოიპოვა საქართველოს იმ 23 სკოლასთან ერთად, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს ხალხების დაახლოებასა და სხვადასხვა კულტურების შესწავლა-პროპაგანდაში. იუნესკოს წარმომადგენელთა დავალებით სკოლის ორგანიზატორი, ქალბატონი ნანა გიორგობიანი უკვე მუშაობს ინდივიდუალურ პროგრამაზე „ტოლერანტობა და კულტურათა შორის ურთიერთობა“. მომავალში მსგავსი პროგრამების საფუძველზე შექმნილ საერთაშორისო ღონისძიებებსა და ფორუმებში თავად სკოლის მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას.



სკოლის დირექტორმა მაია ლაგვილავამ კიდევ ერთი ჩანაფიქრი გაგვიმხილა: „ეს იდეა მხოლოდ 3-4 წლის შემდეგ თუ განხორციელდება – იტალიის საგარეო საქმეთა და განათლების სამინისტროების დახმარებით ვმუშაობთ პროექტზე, რომლის თანახმად მე-9-მე-12 კლასების მოსწავლეები საკუთარი სურვილით იტალიურ ენაზე შეისწავლიან ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ საგნებს. გამოსაშვები გამოცდების წარმატების შემთხვევაში ამ მოსწავლეებს სიმწიფის ატესტატებს იტალიის განათლების სამინისტრო მისცემს. ქართველ ახალგაზრდებს იტალიის ნებისმიერ სასწავლებელში სწავლის საშუალება მიეცემათ და იტალიელი თანატოლების უფლებებით ისარგებლებენ. გვესმის, რომ ასეთი სერიოზული ჩანაფიქრის განხორციელება არც თუ ადვილია, მაგრამ იმედი გვაქვს, დაბრკოლებებს იტალიელი კოლეგების დახმარებით დავძლევთ. დრო გვიჩვენებს, რამდენად წარმატებული და შედეგიანი იქნება ჩვენი მცდელობა – როცა ევროპაში განსწავლული ქართველები სამშობლოში დაბრუნდებიან და თავიანთი ქვეყნის სამსახურში ჩადგებიან“.

ნანა მაყაშვილი

*ახლახან შემისრულდა 16 წელი. როგორც ყველა ჩემი თანატოლი გოგონა, მეც ზღაპრულ პრინცზე ვოცნებობ. მაგრამ კომპანიებში თავს თეთრ ყვავად ვგრძნობ: არც ვსვამ, არც ვეწევი და არც ქუჩის მოდური ლექსიკით ვლაპარაკობ, მიყვარს კლასიკური მუსიკა. მეგობრები მეუბნებიან, ცხოვრებას ჩამორჩიო. ბიჭები ყურადღებას არ მაქცევენ, ხოლო გოგოებს ჩემი მსჯელობაც კი აღიზიანებს, მიაჩნიათ, რომ მეტისმეტად სერიოზული ვარ. რა ვქნა, ნუთუ აუცილებელია მეც ისეთივე ვიყო, როგორებიც დანარჩენები არიან?*

თამთა

თამთა, გვინდა შეგახსენოთ, რომ არ შეიძლება ყველაფერზე ხმაურიანი საღამოების, დისკოთეკების და კომპანიების მიხედვით იმსჯელო. იგივე თბილისში ძალზე ბევრია ისეთი ინტელიგენტური ოჯახი, სადაც ცხოვრების სულ სხვა სტილია: წიგნები, სწავლა, თბილი შეხვედრები მეგობრებთან, კლასიკური მუსიკა, პოეზია, ნათესაური ურთიერთობა. უბრალოდ, შენ უნდა მოძებნო ასეთი ადამიანები, ასეთი კომპანია და მათი მეშვეობით მიაღწიო სულიერ წონასწორობას, ჰარმონიას.

* * *

*დაახლოებით ერთი წელი დავდიოდი ჩვენი სკოლის მეათეკლასელ ბიჭთან, რომელმაც სიყვარული ამიხსნა. მე კი ის უბრალოდ მომწონდა, შესახედად მართლაც კარგი ტიპია, დანარჩენი კი არ ვიცი. ახლახან სოსომ (სახელი პირობითია), როგორ გითხრათ, ფიზიკური სიახლოვე შემომთავაზა. როცა გავიკვირვე და ვიუარე, მომახალა გოიმი ყოფილხარ, ტელევიზორს მაინც არ უყურებო?*

*რამდენიმე დღის შემდეგ კი შევამჩნიე, რომ სკოლაშიც და უბანშიც ალმაცერად დამიწყეს ყურება, ვიღაც ბიჭები მირეკავდნენ, უხამსობებს მეუბნებოდნენ. თავიდან ვერაფერს მივხვდი, მხრებს ვიჩეჩავდი, მერე კი ჩემმა უერთგულესმა დაქალმა მაკამ მითხრა, სოსომ ხმა დაგიყარა, ვისთანაც მოხვდება, იმასთან ძინავსო. მეშინია, რომ ეს ყველაფერი ჩემი მშობლების ყურამდეც მიაღწევს და თუმცა ისინი აბსოლუტურად მენდობიან, მაინც შეშფოთდებიან და შეიძლება დაეჭვდნენ კიდეც. ჯერჯერობით კი ვიკავებ თავს – მე ხომ ვიცი და ღმერთიც მოწამეა, რომ არ შემიცოდავს, მაგრამ როდემდის მეყოფა მოთმინება? ნუთუ ყველა ბიჭი ასე ბოროტი და უსინდისოა...*

ეკა

# ...რასაც მხოლოდ დობილს გაანდობდი...

ძალიან კარგად გვესმის შენი. სამწუხაროდ, ბიჭები ხშირად ავრცელებენ ბინძურ ხმებს უდანაშაულო გოგონებზე. არსებობს ამის რამდენიმე მიზეზი. ჯერ ერთი, ისინი ასე იძიებენ შურს გოგონებზე, რომლებმაც ზურგი აქციეს. გარდა ამისა, ბევრ ბიჭს უბრალოდ არ სჯერა გოგონების წესიერებისა. და კიდევ ერთი – ბევრი მათგანი ფიქრობს, რომ დეზინფორმაციის, ჭორების გავრცელების გზით შეძლებს თქვენი წინააღმდეგობის დაძლევას.

ეკა, შენი ერთადერთი იარაღი სიმშვიდე, თავდაჭერილობაა. თავად ხომ კარგად იცი, რომ ცუდი არაფერი ჩაგიდენია და სუფთა ხარ როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების წინაშე. ტელეფონის ზარებზეც აუღელვებლად უპასუხე: „შეცდომით რეკავთ“, „აქ ასეთი არავინ ცხოვრობს“, „სამწუხაროა, რომ ჭორებს აჰყევი, მე კი გონიერი ადამიანი მეგონე“...

გვერწმუნე, ასე სოსოსაც მალე ჩააჩუმებ და ჭორების ამყოლ-გამვრცელებლებსაც.

* * *

*წელს სკოლას ვამთავრებ და უნივერსიტეტში ჩასაბარებლად ვემზადები. ჩემი მეგობარი ჩემზე შვიდი წლით არის უფროსი, ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი, მაგრამ ჩემი მშობლები სასტიკი წინააღმდეგნი არიან ჩვენი ურთიერთობის, მიკრძალავენ მასთან შეხვედრას. მამა მეუბნება, შენისთანები ქვეყნისა ეყოლებაო, დედა კი სულ იმას მიჩიჩინებს, რა გეჩქარება, მთელი ცხოვრება წინ გაქვს, მაგისთანას ორმოცს შეხვდებიო. აღარ ვიცი რა ვქნა, ზოგჯერ ვფიქრობ, დავხუჭავ თვალებს და საითაც მეტყვის, იქით გავყვები ჩემს შეყვარებულს-მეთქი, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა მიჭირს. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.*

სალომე

წარმოიდგინე, რომ უკვე დახუჭე თვალები და მართლაც გაჰყევი შენს შეყვარებულს, მერე? სწავლას გააგრძელებ თუ იმუშავებ? წარმოგიდგენია, რა არის ცოლქმრული ცხოვრება? მზად ხარ ქმარ-შვილის მოსავლელად? იცი, როგორ უნდაააწყო ურთიერთობა დედამთილ-მამამთილთან? და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. როგორც ჩანს, მშობლები ცდილობენ რეალობა დაგანახონ, ილუზიები გაგიფანტონ და შესაძლო შეცდომისგან დაგიცვან. ბუნებრივია, შენ გსიამოვნებს შენზე უფროსი მამაკაცის ყურადღება, გამორიცხული არ არის, რომ შენ გიყვარს ის, მაგრამ ყველა შემთხვევაში გირჩევთ არ აჩქარდე, დაიცადე. უნივერსიტეტში ახალ ნაცნობ-მეგობრებს შეიძენ, ახალი ინტერესები გაგიჩნდება და სწორედ მაშინ შეგიძლია შეამოწმო საკუთარი გრძნობებიც და მისიც. დრო ყველაფერს თავ-თავის ადგილს მიუჩენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრაქტიკული ფსიქოლოგია მოზარდებისთვის, ანუ როგორ მოვძებნოთ საკუთარი ადგილი ცხოვრებაში

## დი სნაიდერი:

ეს ძიების წლებია, შენ სულ ეძებ: ეძებ გასართობს, შენი ასაკისთვის განკუთვნილ ჟურნალებს, ყოველდღე სარკესთან ტრიალებ და მოუთმენლად ათვალიერებ საკუთარ თავს: ნეტავ, „იქ, იმ ადგილზე“ თმა ხომ არ ამომივიდაო?“ მაგრამ ყველაზე მეტად საკუთარი თავის პოვნა გწადია, იმის გაგება გინდა, თუ ვინ ხარ, რას წარმოადგენ.

ზოგჯერ ადამიანები ას წლამდე ცოცხლობენ, იმას კი მაინც ვერ ხვდებიან, როგორები არიან სინამდვილეში, შენ კი მეთექვსმეტე დაბადების დღეს გინდა უპასუხო ამ ურთულეს კითხვას?

შენი „მე“ უამრავი ნიშან-თვისებისგან შედგება: რასობრივი, სქესობრივი, ეთნიკური და რელიგიური კუთვნილება, ცხოვრებისეული გამოცდილება. ცხოვრება გაცილებით იოლი იქნებოდა, რომ შეგეძლოს ყველა ეს ამოსავალი მონაცემი კომპიუტერში შეიტანო და მიიღო დეტალური ანაბეჭდი „ეს მე ვარ“. ალბათ ვერც იმის ზუსტი ცოდნა გიშველის, თუ რას ფიქრობენ შენზე ირგვლივ მყოფნი — ჩვენი შეხედულება საკუთარ თავზე ხშირად ძალზე განსხვავდება იმისგან, თუ სხვები როგორ გვხედავენ.

ზოგჯერ ასე უბედურები იმიტომ ვართ, რომ უმრავლესობა იმის მიხედვით მსჯელობს ჩვენს შესახებ, რაც ზედაპირზე ძევს, ანუ მხოლოდ გარეგნული ნიშნების, ანუ გარეგნობის მიხედვით.

ჩემს სახეს შეხედეთ. იცით, რამდენი პრობლემა გამიჩინა მან მოზარდი რომ ვიყავი, იმიტომ, რომ — არც კი ვიცი უფრო ზუსტად როგორ გითხრათ, — ძალიან შეუხედავი ვიყავი. ადრეულ ბავშვობაში საკმაოდ

**მე ისეთი არა ვარ, როგორიც სხვები, მაგრამ მაინც როგორი ვარ?**

სიმპათიური ვყოფილვარ (განა ბავშვობაში ყველანი სიმპათიურები არა ვართ?), მერე კი უეცრად, ზრდამ და სქესობრივმა მომწიფებამ, საკმაოდ ბოროტი ხრიკების მოწყობა დამიწყეს. თანდათან მივხვდი, რომ საზოგადოდ მიღებული სტანდარტებიდან გამომდინარე, ლამაზი სულაც არ მეთქმოდა. მაგრამ იმისათვის, რათა ამაში საკუთარ თავს გამოვტყდომოდი, საკმაოდ დიდი დრო დამჭირდა.

საათობით ვიდექი ხოლმე სარკესთან, ვუყურებდი საკუთარ თავს და სულ იმის იმედი მქონდა, რომ დავინახავდი მოთავხედო პიჟონს, და არა ჭია ვიღაცას, რომელსაც ყველა თანაკლასელი დასცინის. ვიმანჭებოდი, თავს აქეთ-იქით ვატრიალებდი, მინდოდა ავხორცული ან თვითკმაყოფილი იერი მიმეღო. „ჰმ... არაფერიც! ძალიანაც კარგად გამოვიყურები, უბრალოდ ვერ მამჩნევენ, თორემ... ხოლო როცა ასე მიჭირავს თავი, (მეტისმეტად ვიღრეცავდი კისერს) პირდაპირ რობერტი პლანტს ვგავარ!“

რა თქმა უნდა, ამ გზას იოლი არ ეთქმის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მე შევურიგდი იმ აზრს, რომ სარკის წინ მანჭვა-გრეხვა, მანჭვა-გრეხვაა და სხვა არაფერი. ხოლო რაკიღა სულ კისერმოღრეცილი ვერ ვივლიდი, — არ გეგონოთ, თითქოს არა ვცადე, — სწორედ ისე გამოვიყურებოდი, როგორც გამოვიყურებოდი. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ჩემი ჩასაცმელ-დასახური, გრიმი, შეღებილი თმა — ანუ ის, რაც „თვისთედ სისთერის“ სოლისტის სცენურ სახეს შეადგენდა, — სინამდვილეში იყო იმის ცდა, რომ თუნდაც ამ სახით მაინც მიმექცია სხვების ყურადღება.

გარეგნობის მიხედვით, მარტო კი არ მსჯელობენ ადამიანებზე — ჩვენი გარეგნული იერის გამო სტერეოტიპების გარკვეულ სისტემაში ვხვდებით. მაღალი ბიჭი აუცილებლად კარგად უნდა თამაშობდეს კალათბურთს, ტანმორჩილი და დაკუნთული კი აუცილებლად კარგი ფეხბურთელი უნდა გახდეს. გოგოებზე კიდევ უფრო მკაცრი შეზღუდვები ვრცელდება: თუ კარგი ტან-ფეხი და ლამაზი ცხვირ-პირი გაქვს, რა თქმა უნდა, პოპულარული გახდები, მაშინ როცა ნაკლებად

---

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნაკადული“ №3,99წ, №1, 2000წ.*



მომხიბვლელი გოგონები არც კი ცდილობენ სიყვარული მოიპოვონ. მახსოვს, მესამე კლასში რომ ვიყავი, საშინლად მინდოდა სკოლის ორკესტრში საყვირზე დამეკრა, მაგრამ იმის გამო, რომ მეტისმეტად გრძელი და წვრილი ვიყავი, ტრომბონი მერგო. გრძელ გამხდარ ბიჭს საკრავიც გრძელი და წვრილი უნდა ჰქონდეს.

ეს ძალზე სულელური მიდგომაა, იმიტომ რომ გარეგნობას არაფერი აქვს საერთო შენს შინაგან შინაარსთან, – ბოლოს და ბოლოს, სახეც და ტანიც მშობლებისგან გადმოგვეცემა.

ყველაფერთან ერთად, 15-16 წლამდე ტანსაცმელსაც სწორედ მშობლები ყიდულობენ შენთვის და პარიკმახერთანაც ისინი მიგათრევენ (სწორედ მაშინ, როცა თმები ბოლოს და ბოლოს, საჭირო სიგრძეს აღწევს). ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების დარწმუნებას იმაში, რომ თუ შენ არ განდობენ ჩასაცმელ-დასახურის ყიდვას, თან მაინც წაგიყვანონ ხოლმე მაღაზიაში. თორემ, თუ დამოუკიდებლობა მიეცი, შეიძლება სრულიად მოულოდნელი შედეგი მიიღო, დაახლოებით ისეთი, ჩემი თეთრი ფეხსაცმელები რომ იყო.

მშობლების საყურადღებოდ: მოზარდის მოდურად ჩასაცმელად სულაც არ არის საჭირო ბევრი ფული. სავსებით კმარა ერთი ხელი ჯინსი, და ერთი პერანგი ან მაისური – ოღონდ მოდური. ის, რაც თქვენ „მშვენიერ კაბად“ გეჩვენებათ, შეიძლება თქვენი ქალიშვილის ცხარე ცრემლების მიზეზი გახდეს, იმიტომ რომ მის სკოლაში არავის – გესმით? – არავის არ აცვია „ხუჭუჭებიანი“ ტანსაცმელი.

მე ვერასგზით ვერ დავარწმუნე საკუთარი მშობლები იმაში, რომ ჩემი გარეგნული იერი ინდივიდუალობის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა.

15 წლის რომ ვიყავი, თმა მოვუშვი, ის სანახევროდ მიფარავდა ყურებს და კეფაზე ოდნავ მეხვეოდა. მაგრამ მამაჩემი... პოლიციელია და ძალზე კონსერვატული შეხედულებები აქვს. ერთ მშვენიერ დღეს მიბრძანა: „აი, ასე გაიკეთებ!“ – და თავის ქეჩოზე მიმითითა. მამას თმა სამხედრო ყაიდაზე, მოკლედ ჰქონდა გაკრეჭილი – დღეს ეს ჩვეულებრივი რამ იქნებოდა, მაგრამ მაშინ, ჰიპების და გრძელი თმების ხანაში, მე ასეთივე წარმატებით შემეძლო შუბზე ამომესვირინგებინა – „კრეტინი“ და აი, მე მამასავით გაკრეჭილი („ბოქსი“) გამოვცხადდი სკოლაში. არადა სასწავლო წელი სულ ერთი კვირის დაწყებული იყო. სრულ ობსტრუქციას გადავაწყდი. ისინიც კი დამცინოდნენ, ვინც მეგობრებად მიმაჩნდა, „ქაჩალ კოსტას“ მეძახდნენ. მეზობლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, ძაღლებიც მიღრენდნენ, ჩვენს უბანში სახლების ფასი მკვეთრად დაეცა – შეიძლება არც იყო ასე, მაგრამ მე ასე მეჩვენებოდა. მე ცრემლებად ვიღვრებოდი, მამაჩემი კი ვერ მიმხვდარიყო, რა მატირებდა.

„მახინჯი ვარ, – ვამტკიცებდი მე. – გრძელი, აწოწილი, გამხდარი და ყურებპარტყუნა ვარ. არავის ვუყვარვარ“. ისე, სიმართლე გითხრათ, გრძელი თმა ჩემს პრობლემას მაინც ვერ გადაწყვეტდა, მაგრამ ჩემი გაგებით, შეიძლებოდა მდგომარეობა ოდნავ მაინც გამოსწორებულიყო. თმას ჩემთვის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ბიბლიური სამსონისთვის, მამაჩემმა კი ეს ერთადერთი ღირსებაც წამართვა.

და მაშინ მამაჩემს იმდენი ვაჟკაცობა ეყო, რომ შორიდან და ყურადღებით შემოეხედა ჩემთვის. შემომხედა და დაინახა არა ბავშვი, პატარა შვილი, რომელიც ყოველთვის უყვარდა, არამედ ხრინწიანხმიანი და მუწუკებიანი მოზარდი. და მაშინ მიხვდა, რაც ჩაიდინა, და აღარასოდეს დაუტანებია ძალა, გინდა თუ არა, გაიკრიჭეო. და აღარ ვიკრიჭებოდი. მაგრამ ჩემთან ბრძოლაში ახლა სხვა, უფრო მრისხანე ძალები ჩაერთო.

## დედაბუნების სიურპრიზები

აი შენ უკვე მოზარდი ხარ, ყოველ დილით სარკის წინ დგახარ და იტანჯები.

დღეს რაღა საჩუქარი მოგიმზადა დედაბუნებამ?

სახეც და სხეულიც, რომლებსაც შენ უკვე შეეჩვიე, ანაზდად საოცარი სისწრაფით იცვლებიან. ზოგჯერ ფიქრობ, რომ დედაბუნება ნამდვილი სადისტია, თორემ ხომ არ მოგატყეპებდა შუბლზე ამ მუწუკს, ასი კილომეტრიდანაც კი რომ მოჩანს, ეს ხომ საერთოდ მუწუკი კი არა, ნაღდი რქაა! ესღა

გაკლდა! თანაც ეს ოხერი მუწუკი მაინცდამაინც იმ დღეს გამოგიხტება, როცა პაემანი გაქვს დანიშნული, ან რაღაც მოხსენება უნდა წაიკითხო მთელი კლასის წინაშე, ან სულაც მთელმა კლასმა საერთო ფოტოსურათი უნდა გადაიღოს. მერე მიხვალ შინ და კიდევ ერთ, დიდსა და წითელ მუწუკს აღმოაჩენ. ღმერთო, კიდევ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეს!

მაშ ასე, სხეული განვითარებას იწყებს.

გოგონებს ეს სადღაც ცხრათორმეტი წლის ასაკში ემართებათ, მათთვის ყველაზე მძაფრი პერიოდი თორმეტი წლისთვის დგება. ბიჭებს ეს ამბავი თორმეტი-თოთხმეტი წლისებს ეწყებათ, ყველაზე მძაფრი მონაკვეთი კი თორმეტი წელია.

სამწუხაროდ, ეს განვითარება ერთგვარად ხდება. ამას თვითონაც შეამჩნევდი. სულ ზევით-ზევით მიიწევ, სიმაღლე გემატება, წონა კი – იშვიათად. კისერი, ხელები, ფეხები არაპროპორციულად გიგრძელდება. სულ ჭამა გინდა, გშია და გეძინება. გოგონებს 25 პროცენტით ეზრდებათ კალორიებზე მოთხოვნილება, მაგრამ მერე ეს მოთხოვნილება კლებულობს, სამაგიეროდ, ბიჭებში ეს ზრდა 90 პროცენტს აღწევს.

ყველაფერთან ერთად, ამჩნევ, რომ თმაც უფრო უხეში და ცხიმიანი გაგიხდა; სახეზე ღინღლი გაგიჩნდა; ოფლის სუნი აგდის; გოგონები პატარა ფუმფულა „ცუგრუმელებიდან“, მძიმეკოჭებიან, სქელმუხლებიან და მაჯებიან საკმაოდ მოუქნელ არსებებად იქცევიან – ნუ აღელდებით, ეს უბრალოდ „ბავშვური ქონის“ გადანაწილება ხდება. თმაში ქერტლი გიჩნდება; ბიჭებს ხმა უბოხდებათ, თანაც მამლაყინწასავით ეხრინწებათ – ხმის სიმები ეზრდებათ მეტისმეტად სწრაფად და იმიტომ; უვითარდებათ სასქესო ორგანოები; სახეზე ფერისმჭამელები და მუწუკები უჩნდებათ. ფერისმჭამელები ფორების მკვდარი რქოვანი უჯრედებით, ბაქტერიებითა და ცხიმიანი მჟავეებით დაცობის შედეგია, ფერისმჭამელების შედეგი კი ის საწყენი მეტსახელებია, დაუნდობელი თანატოლები რომ გარქმევენ.

კარგა დიდხანს ითვლებოდა, რომ მუწუკების მიზეზი შეიძლება ტკბილეული და შოკოლადი გახდეს, მაგრამ დერმატოლოგებმა თითქოს გააქარწყლეს ეს თეორია. ის კი დღესაც ძალაში რჩება, რომ როცა უსიამოვნება შეგხვდება, ან რაიმე მიზეზით დაძაბული ხარ, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები უფრო აქტიურად მუშაობს და ზემოქმედებას ახდენს ამ ოხერი ფერისმჭამელების გაჩენაზე.

ცხადია, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებთან ბრძოლა ძნელია, მათი მოქმედების შედეგთან ბრძოლა კი სავსებით შესაძლებელია.

ყველაზე მარტივი რეკომენდაცია – იდეალურ სისუფთავეში იქონიეთ სახეც და ტანიც.

ეს პერიოდი, ბუნებრივია, უამრავ უსიამოვნებას გაყენებს. განსაკუთრებით ბიჭები ღელავენ და განიცდიან – შიში ეპარებათ, მგონი არ ვიზრდებიო, იმიტომ რომ 12-დან 14 წლამდე გოგონები ასწრებენ თანატოლ ბიჭებს სიმაღლეში, 10-დან 14 წლამდე კი მათზე უფრო მძიმეებიც ხდებიან. მეორე მხრივ, მაღალი გოგონები იმას განიცდიან, რომ მეტისმეტად სწრაფად იზრდებიან და ეშინიათ, ვაითუ ისე ავიყლარწოთ, ყველას ზევიდან დავყურებდეთო.

უნდა გაგახაროთ: ფიზიკური განვითარების ფინიშზე თითქმის ყველა მონაწილე ერთდროულად მიდის – გოგონების 98 პროცენტი „მოწიფულ“ სიმაღლეს სადღაც 16 წლის ასაკში აღწევს, ბიჭები კი – 18 წლის ასაკში.

უნდა გაწყენინოთ: ცხვირი მთელი სიცოცხლის მანძილზე იზრდება. ეს მე ნაღდად ვიცი.

*(გაგრძელება მომდევნო ნომერში).*



# ოლოშხერი

**ამ ორი მშვენიერი ჩანახატის ავტორი თბილისის მე-6 გიმნაზიის XI კლასის მოსწავლე ელენე ჩიხლაძე.**

## ხევთან

დილის ჰაერი კვერცხის ცილასავით სქელი იყო, ოღონდ უფრო ლურჯი და ისე ირხეოდა, როგორც მედუზა პორტის ნავთობიან წყალში. ავტობუსი ხალხით გაივსო. ამასობაში უფრო მეტად ჩამოცხა. სიცხისაგან სააღდგომო კვერცხი-



ვით გაწითლებული მძღოლი ავტობუსში ავიდა. მზისგან გარუჯული, ჭუჭყიანი ხელებით ხალხით მოზუზუნე ჟანგიანი ავტობუსი დაქოქა და დანგრეულ, დათხრილ ტრასას დინჯად გაუყვა.

— ფანჯრები გააღეთ, დავიხუთეთ! — შეწუხდა ხალხი. ისედაც მძიმე ჰაერს ოფლის სუნში არეული მაწვნისა და ქათმის სუნი კიდევ უფრო ამძიმებდა.

— სწრაფად იარე, შე სასიკვდილე, დავიხრჩეით ხალხი! — მგზავრების გაღიზიანებული ტონი თავბრუს ხვევდა ულვაშა მძღოლს. ხმა არ გაუცია, დაგლეჯილი ფეხსაცმელი „პედალს" დააჭირა და სიჩქარეს უმატა.

— შე კაი კაცო, კი არ გვითქვამს დაგვამტვერიე-თქვა...

მემაწვნის ნათქვამზე კისკისი ატყდა. ეს ჟრიამულიც თითქოს ყრუდ ესმოდა მძღოლს. ხმას არ იღებდა, მაგრამ გულში მგონი რაღაცას ბუტბუტებდა. გზა ძალიან ლამაზი იყო. აქეთ-იქიდან მწვანე ბუნება ამშვენებდა. აი, ხიდიც გაიარეს და მოსახვევები დაიწყო. მგზავრებს მხიარულება დაეტყოთ. ზოგი აღიღინდა, ზოგი სასაცილო ამბავს ყვებოდა, სხვები მოსავლიანობაზე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, ვიღაცა ვიღაცის გათხოვებაზე ლაპარაკობდა, ვიღაცა მევალეს უჩიოდა. მაგრამ ყველაზე მეტად ხალხი იმაზე იცინოდა, როგორ თათხავდა მოხუცი დაქანცულ მძღოლს. მძღოლი ღელავდა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა.

სიცხით შეწუხებულმა მგზავრებმა იმაზე დაითანხმეს, რომ წყაროსთან ავტობუსს გააჩერებდა და სულს მოათქმევინებდა. მაგრამ ფიქრში არეულმა ნაღველმა წყარო გადაავიწყა და კარგა მანძილით გასცდა „გაჭირვების ტალკვესს". ის კი არა, საკვირველია, რომ წყურვილისაგან „დამჩრჩვალ" მგზავრებსაც აღარ გახსენებიათ წყალი. თუმცა ალბათ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, თავსაფრიან, ჩამრგვალებულ ქალს რომ არ წამოეძახა, „წყალიო". წამოიშალნენ მგზავრები, მისცვივდნენ მძღოლს და ლანძღვა დაუწყეს. საბრალოს თავის მართლებაც არ უცდია, უბრალოდ ოფლმა დაასხა, თავი ვეღარ შეიმაგრა, მარჯვნივ მოხვევის ნაცვლად მარცხნივ მოუხვია და...

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. ცხელოდა. ხევის თავზე ავტობუსი გაჩერებულიყო, ხალხი გარეთ გადმოსულიყო და ხევში იყურებოდა.

— ვხედავ, ვხედავ! — წამოიძახა აღფრთოვანებულმა ბავშვმა, რომელმაც ოდესღაც ხალხით სავსე ჟანგიანი ავტობუსის ნაწილი დაინახა, მაგრამ წამოძახილის პასუხად, ტუჩებზე დედის მწარე ხელი იგრძნო.

## მართა

პატარა მართა თაგვისფერ ლოდზე იჯდა, მცხუნვარე მზეს მისჩერებოდა და დამშრალ ტუჩებს აცმაცუნებდა. მოთენთილმა გოგონამ სევდიანი თვალები გამხმარ სიმინდებს გადაავლო, სისხლისფერ ლოყებზე ცრემლი ჩამოუგორდა. ცას ახედა. მზე უმოწყალოდ აცხუნებდა, ირგვლივ ყველაფერს წვავდა. მართამ პირი გააღო, თვალები დახუჭა, წარმოიდგინა თითქოს წვიმის წვეთი მოხვდა პირზე. პირი სწრაფად მოკუმა, მაგრამ თვალი არ გაუხელია. ხელები მაღლა ასწია, პატარა თითები დაჭიმა, წელში გაიმართა... ვერ მოახერხა ცას მიწვდომოდა, ღრუბლები შეეკრიბა და შხაპუნა წვიმით სახე და პუწია თმები დაებანა. ხელები ჩამოუშვა, მოიკუნტა, გახუნებული კაბის ბოლო სველ შუბლზე გადაისვა და თვალები ისევ დახუჭა. თვალდახუჭული თაგვისფერ ლოდზე აბობღდა, გახურებულმა ქვამ პაწია ფეხები დასწვა.

მართამ ხელები ისევ ცისკენ აღმართა, თითის წვერებზე აიწია და უცებ სიმსუბუქე იგრძნო. გრძნობდა მაღლა, ცაში ადიოდა. თვალი არ გაუხელია,



არც ხელები ჩამოუშვია. მიფრინავდა სულ მაღლა და მაღლა. იღიმებოდა და თან ტიროდა... გამხმარ სიმინდებს ტოროლამ გადაუფრინა. ბადრიჯნისფერი ღრუბელი დასავლეთისკენ მიჰქროდა... მართას ბაგეს ღიმილი ნელ-ნელა გასცილდა, მცხუნვარე მზემ ცრემლი გაუშრო... და სახე გაუყინა...

## გაზაფხულო

რა კარგი ხარ, გაზაფხულო,
მშვენიერო, დახატულო,
ასე რამ გაგალამაზა,
გაგვიმხილე საიდუმლო.

## თბილისი

ლამაზო და მშვენიერო
ჩემო თბილის-ქალაქო,
სულ მინდა, რომ გეალერსო,
მინდა გელაპარაკო.

**7 წლის თეონა ხარძიანი**

ოლოშხერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროსხელი











ეს თბილისის 147-ე
საშუალო სკოლის მე-5
კლასის მოსწავლის
თეონა მესხის ნახატებია



21662

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კარგი, ვთქვათ, სხეული მოიხატე, — მერე?



ვარაუდობენ, რომ სვირინგების, ტატუირების ერთ-ერთი პირველწყარო ის სამარცხვინო დამღაა, კატორღამისჯილებს



ბეჭზე რომ ამოუწვავდნენ ხოლმე. ხოლო თავად სიტყვა **Tatoo** – ტატუირება ერთ-ერთია იმ იშვიათი პოლინეზიური სიტყვებიდან, რომლებმაც ინგლისურ ენაში შეაღწია. „დამღის“ მნიშვნელობით იგი კაპიტანმა კუკმა ჩამოიტანა ტაიტიდან **1796** წელს.

ძველად სვირინგებს ხშირად ისე უყურებდნენ, როგორც თილისმას, რომელიც შიშის დაძლევაში, ბოროტი ძალების განდევნაში, გათვალვის ან ავადმყოფობისგან დაცვაში ეხმარებოდა ადამიანს. მოგვიანებით ისინი ტომის დამღის, სოციალური სტატუსის ნიშნის ან პროფესიული კუთვნილების ემბლემის სახით გამოიყენებოდა. აფრიკელებში ტატუ თავისებური სავიზიტო ბარათის მაგიერობას სწევდა: შეხედავდი და უმალ მიხვდებოდი დაოჯახებული იყო ადამიანი თუ არა.

ზოგიერთ ქვეყანაში მზრუნველი მშობლები შვილებს სხეულს მფარველი ღმერთების გამოსახულებებით უმშვენებდნენ. ბენგალიაში კი მიაჩნდათ, რომ უსვირინგო ადამიანს სამოთხეში მოხვედრა გაუჭირდებოდა. საგულისხმოა, რომ ბიბლია ადამიანის სხეულზე რაიმე ნახატების ან ნაჭდევების გამოსახვის წინააღმდეგია.

დასავლეთში ტატუირების ხელოვნება ჩინეთიდან, ბირმიდან და ინდოეთიდან მეზღვაურებმა ჩამოიტანეს. ტორსის მოხატვა იმდენად გავრცელდა მეზღვაურებს შორის, რომ ამ გატაცებას გარდემარინად ყოფნისას ვერც ინგლისის მეფე გეორგ V გადაურჩა. ეტყობა, სხვადასხვა სიუჟეტებით ტანაჭრელებულ ზღვის მგლებს ეგონათ, რომ ასე უფრო მიიზიდავდნენ ქალებს. გარდა ამისა, მათ იმედი ჰქონდათ, რომ თუ ბედი უმტყუნებდათ და გემთან ერთად დაიღუპებოდნენ, ნაპირზე გამორიყულ მათ გვამებს ამ სვირინგებით ამოიცნობდნენ. თუმცა აქ სხვა ქვეტექსტიც იყო – ზღვის დემონების დაფრთხობა.



დღეს კი ტატუ მთელ მსოფლიოში მოგზაურობს და ვიღაცას იზიდავს, ხოლო ვიღაცას აფრთხობს. როგორც ყოველთვის და ყველაფერში, აქაც ამერიკა ლიდერთა შორისაა. კანის ფერწერის საყოველთაო მოდად გადაქცევას დიდად შეუწყო ხელი ისეთი „ვარსკვლავების“ მაგალითმა, როგორებიც არიან შერი, დენის როდმანი, მარის ტომეი, მინი დრაივერი და ბევრი სხვა. ოსტატი-მესვირინგე შეკვეთების შესრულებას ერთი საათიდან რამდენიმე კვირამდე ანდომებს (ეს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს უნდა საკუთარი სხეული სურათების გალე-

რეად აქციოს).



ტატუ თავის ისტორიულ სამშობლოში – აფრიკაშიც დაბრუნდა და ლამის მთელი აფრიკელი ახალგაზრდობის მოდურ გატაცებად იქცა. სხეულის მოსახატავად ტატუს სტუდიაში თვეობით დგანან რიგში ტელევარსკვლავები, ცნობილი მომღერლები, მათ შორის, „გეტო ლუვის", „აბაშანტეს", „ესმაილის" სოლისტები. ზოგი კელტური მახვილით იმშვენებს ზურგს, ზოგს ხელზე შავი პანტერა აქვს დახატული, სხვები ჩინური იეროგლიფებით კმაყოფილდებიან, ვიღაცას კი მკერდზე პეპლის გამოსახულება ჰგვრის უდიდეს სიამოვნებას და დადის ხალხი ცხვირ-პირ, ხელ-ფეხ, მხარ-ბეჭ აჭრელებული, იმაზე კი ცოტა ვინმე თუ ფიქრობს, რომ შეიძლება ეს ექსტრავაგანტური გატაცება სავალალო შედეგებით დამთავრდეს. მთავარი საშიშროება ინფექციის შეტანისა და ალერგიის გაჩენის შესაძლებლობაა. ამასთან ალერგია საღებავზე, რომლითაც სვირინგი სრულდება, ზოგჯერ მაშინვე კი არ იჩენს თავს, არამედ კარგა ხნის შემდეგ, როცა „შეცდომის" გამოსწორება უკვე გვიანია. პრაქტიკამ აჩვენა, რომ თუ ნახატი ერთ თვეში არ წაიშალა, სამუდამოდ დარჩება. ასეთ შემთხვევაში ალერგისგან განკურნება მხოლოდ ტატუირების მოცილებით შეიძლება, ხოლო ეს რთული და საკმაოდ უსიამოვნო პროცედურაა. იმისდა მიხედვით, თუ რა ზომის და რა ფერისაა ნახატი და სხეულის რომელ ნაწილზეა იგი ამოსვირინგებული, მისი მოცილების სხვადასხვა საშუალებებს მიმართავენ, თუმცა სპეციალისტები სრულ გარანტიას ვერ იძლევიან. სვირინგების მოსაშორებლად ძირითადად ლაზერულ ხელსაწყოს იყენებენ. მისი მეშვეობით ამოიწვება ან კანის მოხატული მონაკვეთები ან საღებავის ნაწილები. პირველ შემთხვევაში სხეულზე ნაიარევი რჩება, მეორე შემთხვევაში კი საღებავი საგრძნობლად უფერულდება. მაგრამ მეორე ხერხი ყოველთვის არ არის ეფექტური, განსაკუთრებით მაშინ, თუ ნახატი წითელ ტონებს შეიცავს. ლაზერის ზემოქმედებით წითელი ფერი შეიძლება გამუქდეს – ყავისფერი ან სულაც შავი გახდეს, კანის გაშავებული მონაკვეთების „გათეთრება" კი უკვე შეუძლებელია. ერთადერთი გზა ამოწვა ან ქირურგიული ოპერაციაა, ეს კი, მოგეხსენებათ, ნაიარევს ტოვებს. გაცილებით ადვილია ძველი, მელნით ან ტუშით შესრულებული ტატუირების მოცილება, ახალი საღებავები კი ძნელად ექვემდებარება ლაზერის ზემოქმედებას. ისე რომ ვიდრე მოდას აყოლილი ადამიანი სხეულის ამა თუ იმ ნაწილის მოხატვას გადაწყვეტდეს, კარგად უნდა დაფიქრდეს და გაიცნობიეროს, რომ ამგვარი „მოხატულობა" შეიძლება სამუდამო გამოდგეს.



მეორე ეგზოტიკური მოდა – პირსინგი თუმცა კი ნაკლებად საშიშია და მისი მოცილებაც იოლია, გარკვეულ უხერხულობას პირსინგისტებიც განიცდიან, განსაკუთრებით დასაწყისში, როცა გახვრეტილი ადგილი ხორცდება. უხერხულობა განსაკუთრებით პირადი ჰიგიენის დაცვას ეხება. მაგალითად, იმათ, ვინც ლითონის სამშვენისებით მუცელი შეიმკეს, პირველ ხანებში ეკრძალებათ აბაზანები, საუნა, აუზი. ხოლო იმათ, ვინც ენა გაიხვრიტეს, საჭმლის ყოველი მიღების შემდეგ სპეციალური ანტისეპტიკური ხსნარი უნდა გამოივლონ პირში, მწეველებმა კი იგივე პროცედურა ყოველ ორ-სამ საათში უნდა ჩაიტარონ.

# „მშრომელი წარვალს და ნაშრომი ჰგიეს"



თევდორეს სახელით ცნობილი მხატვარი X საუკუნეში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. 940 წელს მან შეასრულა ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის, შატბერდის მონასტერში 936 წელს გადაწერილი ე.წ. ჯრუჭის პირველი ოთხთავის კამარები და მინიატურები.

## „კამარათა მწერალი" თევდორე

მხატვარს ორჯერ მოუხსენებია თავისი საკუთარი სახელი ხელნაწერის პირველი ფურცელზე, რომელზეც ჯვარისებრი მომრგვალებული ოთხყურა ფიგურაა გამოსახული. ლამაზი მრგვლოვანით შესრულებული წარწერა ფიგურის თავზე გვამცნობს, ქრონიკონი 160 (ჩვენი წელთაღრიცხვით 940 წელი) იყოო, ბოლოს კი მხატვარი შეწყალებას თხოვს უფალს: „ქ ე შ ე ამათ კამარათა მწერალი თ ე („ქრისტე შეიწყალე ამათ კამარათა მწერალი თევდორე"). იქვე, მარჯვენივ სარკისებრი შებრუნებით განთავსებული მეორე წარწერა მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება და თევდორე კვლავ შეწყალებას თხოვს ქრისტეს. ეს არის და ეს – სხვა რამ ცნობა ამ დიდებული მხატვრის შესახებ არ მოიპოვება. სამაგიეროდ, დარჩა მისი ნალვაწ-ნახელავი – რვა კამარა „კანონების" ტექსტით, – მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სურათები, ღვთისმშობელი ყრმითურთ, ეშმაკეულის განკურნება,



ბრმის განკურნება, განრღვეულის განკურნება. ყველა ეს სურათი, ღვთისმშობლის გარდა, ჩასმულია კამარებში, ანუ თაღოვან ჩარჩოებში. განკურნების ყოველ სცენაში ორორი ფიგურაა აღბეჭდილი – ქრისტე და განკურნებული. ყოველ სურათს თან ახლავს განმარტება.

თევდორეს თითოეული მინიატურა ნატიფი ოსტატობითა და არტისტიზმით გამოირჩევა. მხატვარს ხელის ლაღი მოძრაობით შემოუხაზავს სხეულები, სამოსლის უამრავი ნაკეცი თუ ნაოჭი. ხელოვანის დაკვირვებული თვალი იგრძნობა მოძრაობის რეალისტურ გადმოცემაში. უწინარეს ყოვლისა, ეს ექსპრესიულობა „განრღვეულის" ფიგურაში იგრძნობა. გავიხსენოთ, ქრისტემ ხომ განრღვეულს ასე უბრძანა: „აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახედ თუსა" (ადექ, აიღე შენი საწოლი და შინ წადიო).

როგორც ჩანს, თევდორე „კამარათა მწერალს" უფრო მუქი, გაუჭვირალი ფერები ჰყვარებია. ჩარჩოების, მოსასხამებისა და კვართებისთვის მას მოყავისფრო-შინდისფერი შეურჩევია, ცალკეულ შემთხვევაში ჩარჩოები და სამოსელი სეპიით არის შესრულებული, ფონებისთვის უმეტესად მუქი ლურჯია ნახმარი. ძირითადად სეპიითვეა შესრულებული თვით ნახატიც. აქაიქ გამოკრთის დეტალების (სვეტისთავები, შარავანდები) გასაფერადებლად ნახმარი ოქროსფერი, ყვითელი, მწვანე, კარმინი. სახეები და სხეულის შიშველი ნაწილები მხატვარს შეუღებავი დაუტოვებია და მხოლოდ ღაწვები და ნიკაპი თუ შეუწითლებია ოდნავ.

თევდორე „კამარათა მწერალი" ადრინდელი ხანის ერთადერთი ქართველი მხატვარ-მინიატურისტია, რომლის სახელსაც ჩვენამდე მოუღწევია.

# კითხვა - თქვენი

***ამას წინათ, ერთ ჟურნალში ამოვიკითხე, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა ზღვებსა და ოკეანეებში დაცურავდა გემები, რომლებზეც არც ერთი ადამიანი არ იყო. თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ ასეთ გემებზე.***

ნიკა ნათენაძე

დიახ, მართლაც ცნობილია არაერთი შემთხვევა, როცა ეკიპაჟის მიერ მიტოვებული გემები თვეობით დაცურავდნენ ზღვებსა თუ ოკეანეებში.

იალქნიანი გემი „ფანი ე. უოლსონი" ფლორიდის ნახევარკუნძულის მახლობლად მდებარე პორტ ჩარლსტონიდან გავიდა და მალე ავარია განიცადა. ეკიპაჟმა გემი მიატოვა. ერთი წლის შემდეგ „ფანი ე. უოლსონს" აზორის კუნძულებთან მოჰკრეს თვალი. მოგვიანებით კი ამ რაიონებში გაბატონებული ქარებისა და გოლფსტრიმის დინების მიუხედავად, იგი თითქმის იმავე ადგილზე დაბრუნდა, სადაც ავარია განიცადა.

ავარიის შედეგად დაზიანებული იალქნიანი გემი „ლეონ უაიტი" ეკიპაჟის წევრებმა ატლანტის ოკეანეში, კანადის ნაპირების სიახლოვეს მიატოვეს. მოხდა საოცრება – სანახევროდ ჩაძირულმა ხომალდმა ირლანდიამდე ჩააღწია, მერე კი ისევ კანადის ნაპირს დაუბრუნდა, სადაც ადრე მარცხი განიცადა. ამის შემდეგ შეუპოვარი „ლეონ უაიტი" ჰებრიდის კუნძულებისკენ გაემართა. მცირე ხნის შემდეგ იგი შოტლანდიის ჩრდილოეთით დაინახეს ზღვაში. ასე იხეტიალა განწირულმა გემმა ათი თვის განმავლობაში და დროის ამ მონაკვეთში 6800 მილი დაფარა.

18 თვე იხეტიალა კიდევ ერთმა მიტოვებულმა იალქნიანმა გემმა „უაირ ჰ. სერჯენტმა". ადამიანებმა გატერასის კუნძულთან დატოვეს იგი, ჩათვალეს რა, რომ განცდილი მარცხის შედეგად „უაირი" სულ მალე ფსკერისკენ წავიდოდა, მაგრამ მიტოვებულმა გემმა მას შემდეგ 6000 მილი გაიარა. სხვათა შორის, „უაირ ჰ. სერჯენტი" ზღვაოსნობის ისტორიაში ერთადერთი გემია, რომელმაც ეკიპაჟის გარეშე გაიარა ჰიბრალტარის სრუტე.

კიდევ უფრო საოცარი ბედი ეწია გერმანულ იალქნიან გემს „ტრეივ". ფაქტობრივად, ოკეანეში მთელი გემი კი არა, მისი ორი ნახევარი დახეტიალებდა. „ტრეივს" დაეჯახა სამგზავრო გემი, რომელმაც შუაზე გააპო იგი. „ტრეივეის" წინა ნაწილმა გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო და ახალი ინგლისისკენ (აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი) გაემართა. კიჩო კი სამხრეთისკენ გაეშურა. უკანასკნელად მას კაროლინის შტატის ნაპირებთან მოჰკრეს თვალი.

1888 წელს სანდალ (მომცრო ნავი) „ვ. ლ. უაიტის" ეკიპაჟმა ბედის ანაბარა მიატოვა ატლანტის ოკეანეში ავარიაგანცდილი და ჩასაძირად განწირული გემი და თავს უშველა.

გემის დაღუპვის ფაქტი დაადასტურა მისმა კაპიტანმაც და ეკიპაჟის ყველა წევრმაც. მაგრამ ინგლისურ ლოიდში, სადაც „ვ. ლ. უაიტი" რეგისტრირებული იყო როგორც დაღუპული, ზედიზედ შემოდიოდა ცნობები იმის შესახებ, რომ აქა და აქ შეხვდნენ ამ გემს. მოკლე დროში „ვ. ლ. უაიტი" 50-ჯერ უნახავთ ოკეანის სხვადასხვა ნაწილებში. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, დიდი შტორმის შედეგად გამორიყა ტალღებმა ეს საოცარი ხომალდი შოტლანდიის მახლობელ პატარა კუნძულზე.



დასასრულ ერთ-ერთი ყველაზე საკვირველი და დაუჯერებელი ამბავი.

კანადის უკიდურეს ჩრდილოეთში ზამთარი ზოგჯერ ძალზე მოულოდნელად დგება. 1931 წელს კუნძულ ვიქტორიას ნაპირებთან ზღვა უკვე ოქტომბრის პირველ დღეებში გაიყინა. ბეწვეულის დიდი ნადავლით დატვირთული კანადელი მონადირეები და მათი გემი „ბეიშონი" ყინულის ტყვეობაში აღმოჩნდნენ. გზა ვანკუვერის პორტისკენ მოჭრილი იყო. ერთადერთი გამოსავალი იმაში ჩანდა, რომ ნაპირ-ნაპირ გაჰყოლოდნენ ყინულის კიდეს, მაგრამ მაშინ ბეწვეულის უმეტესი ნაწილი გემზე უნდა დაეტოვებინათ. მონადირეებმა კი ამაზე უარი თქვეს. გადაწყდა, გემის სიახლოვეს, ნაპირზე კარვებსა და ქოხებში გადაეტანათ ზამთარი, მით უმეტეს, რომ „ბეიშონის" კაპიტანმა დაარწმუნა მონადირეები ყინულებში ჩაჭედილი გემი ვერსად წავაო. ჩამოზიდეს გემიდან ყველაფერი, რაც ნაპირზე საცხოვრებლად დასჭირდებოდათ და მოთმინებით აღიჭურვნენ.

მოულოდნელად ქარბუქი ამოვარდა. მონადირეები ორი დღე-ღამე არ გამოსულან გარეთ. ხოლო როცა შედარებით გამოიდარა, ნაპირს მიაშურეს, მაგრამ სახტად დარჩნენ: „ბეშონი" არსად ჩანდა. გაქრა. ალბათ ყინულთან ერთად წყალმა ოკეანეში წაიღოო, – გადაწყვიტეს და რაკიღა სხვა გზა აღარ დარჩენოდათ, ხმელეთით გაეშურნენ ვანკუვერისკენ.

ვანკუვერში კი მონადირეებს კითხვები დააყარეს: „რატომ მიატოვეთ გემი? ნადავლი სად არის? იცით თუ არა, რომ „ბეიშონი" ახლა ფრანკლინის კუნძულთანაა?" მონადირეები უმალ იქით გაქანდნენ, მაგრამ გემი აღარ დაუხვდათ. ერთი თვის შემდეგ ვიღაცა ახალგაზრდა ალიასკელმა მოგზაურმა ბოფორტის ზღვაში დალანდა „ბეიშონი". მისი თქმით, გემი შესანიშნავ მდგომარეობაში იყო. ამის შემდეგ „ბეიშონის" ძებნას ერთ-ერთი მომცრო გემის ეკიპაჟი შეუდგა. „ბეიშონს" მიაგნეს კიდეც, მაგრამ ვერაფრით ვერ მიუდგნენ.

მომდევნო წლის აგვისტოში ძვირფასი ბეწვეულით დატვირთულ გემს კიდევ ბევრჯერ შეხვდნენ ოკეანეში, მაგრამ ხან ყინულების, ხან კი შტორმის გამო ვერც ერთხელ ვერ მიუახლოვდნენ. მერეც არაერთხელ დაუნახავთ „ბეიშონი" – ყინულებშიც, აბობოქრებულ ზღვაშიც და წყნარშიც, მაგრამ გემი ძველებურადვე მიუწვდომელი რჩებოდა. ბოლოს და ბოლოს, „ბეიშონს" „მოუხელთებელი" შეარქვეს. არავინ იცის, როდის და სად დაიღუპა „მოუხელთებელი ბეიშონი".

# პასუხი - ჩვენი

???

ეს იორკშირული ტერიერები მსოფლიოში ყველაზე მსუბუქი ძაღლებია. დარიკა (მარცხნივ) 480 გრამს იწონის, პუერხოკი – 475 გრამს. იმისათვის, რათა აწონვის დროს ძაღლები მშვიდად ყოფილიყვნენ, პატრონმა ისინი ცალ-ცალკე ჭიქებში მოათავსა.




???

# მსოფლიო კიდით კიდემდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დიდი ბრიტანეთი

### ტეტჩერი – ბოროტი ზედამხედველი

გრინვიჩის გასართობ ცენტრში „ათასწლეულის გუმბათი“ სწავლებისადმი მიძღვნილ პავილიონში სკოლის გაკვეთილების რეალური ატმოსფერო შეიქმნება. საამისოდ გამოყენებული იქნება აუდიოვიზუალური ეფექტები და, თქვენ წარმოიდგინეთ, სხვადასხვა სუნი (მაგალითად, მოხარშული კარტოფილის ან კომბოსტოსი), ხმაური დასვენებებზე და მასწავლებლების შენიშვნა-შეგონებებიც კი.

„ბოროტი ზედამხედველი – დამრიგებლის“ როლის გამოვანების პრეტენდენტთა შორის ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერიცაა.

ინგლისური სკოლის ტრადიციული მასწავლებლის როლის შესაძლო შემსრულებელთა სიაში ფიგურირებენ: პოპულარული ტელეწამყვანი ჯერემი პაქსმანი, პოპ-ჯგუფ „ისთენდერსის“ ლიდერი გრანტ მიტჩელი, თემთა პალატის სპიკერი ბეტი ბუტროიდი, მსახიობი ენტონი ჰოპკინსი.

## ავსტრალია

### ტელევიზორი – ბავშვების მტერი

ავსტრალიელ მედიკოსთა აზრით, ბავშვებმა არც ჭამის წინ უნდა უყურონ ტელევიზორს, არც ჭამის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთ გადაცემას მაინც იმიტომ, რომ ტელევიზია ასუქებს და ათაყვანებს მათ, გარდა ამისა, სისასტიკესაც უნერგავს. ექიმების განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ტელეპროგრამების კავშირი ბაზართან – სათამაშოები და ელექტრონული თამაშები ხშირად იმეორებენ იმას, რასაც ბავშვები ტელევიზორში ხედავენ. ამიტომაც გოგო-ბიჭები აღარ ცდილობენ თავისი თამაშები მოიგონონ და ისე იქცევიან, როგორც იმ პროგრამებისა და ფილმების გმირები, რომლებიც ძალადობასა და სისასტიკეს ასწავლიან. გარდა ამისა, უმოძრაოდ ჯდომა თუ წოლა ტელეეკრანთან გასუქების ძირითადი ფაქტორი ხდება. ავსტრალიაში ხუთი წლის ბავშვები (ამ ქვეყანაში სკოლაში სწავლას ხუთი წლის ასაკიდან იწყებენ). ტელევიზორის ყურებაში ორ-ორ საათს კარგავენ. უფრო მოზრდილი მოსწავლეები კი ტელეეკრანებთან უფრო მეტ დროს ატარებენ, ვიდრე კლასში გაკვეთილებზე.



## ჩინეთი

### 15 წლის „ცოცხალმა ბუდამ“ ტიბეტი დატოვა

15 წლის ტიბეტელმა ლამა კარმაპამ, რომელიც თავის მნიშვნელობით მესამეა ბუდისტთა სულიერ ლიდერთა შორის, მიატოვა თავისი მონასტერი ქალაქ ლჰასას სიახლოვეს და ინდოეთში ჩავიდა, რათა მის ხელისუფლებას „პოლიტიკური თავშესაფარი“ სთხოვოს.



ლამა კარმაპა (უგიენ ტრინლიე დორჯი) ოთხიდან ერთ-ერთი ბუდისტური სექტის – „თეთრი მოძღვრების“ უმაღლესი მეთაურის მეჩვიდმეტე ცოცხალ განსახიერებად ითვლება, „ცოცხალ ბუდად“ კი იგი 1992 წელს აღიარეს. როგორც ჩანს, ბიჭმა ექვს თანმხლებ ერთგულ ბერთან ერთად ფეხით გადმოლახა ძნელადსავალი თოვლიანი უღელტეხილები და ისე ჩააღწია ნეპალამდე, საიდანაც ისინი ინდოეთში ჩაიყვანეს. ალმა კარმაპას საქციელმა და განსაკუთრებით მისმა გამოჩენამ პეკინის შეურიგებელი მტრის, დალაი-ლამას რეზიდენციაში ოფიციალური ჩინეთის უკმაყოფილება გამოიწვია.

## უელსი

### პატარა შარლოტას ექვსი მილიონი

ოპერის სენსაციად აღიარებული 13 წლის მომღერალი შარლოტა ჩარჩი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი ვარსკვლავია. წლის მიწურულს ჟურნალ „პაითის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, შარლოტას შემოსავალმა 1999 წელს ექვსი მილიონი გირვანქა სტერლინგი შეადგინა. ამ მაჩვენებლით გოგონა ქვეყნის ყველაზე შემოსავლიან ვარსკვლავთა ათეულში მოხვდა, რომელსაც სათავეში ანსამბლი „როლინგ სთოუნზი“ უდგას (35 მილიონი გირვანქა სტერლინგი).

მიუხედავად ასეთი დიდი შემოსავლისა, პატარა მომღერალს თვეში მხოლოდ 50 გირვანქა სტერლინგის დახარჯვის უფლება აქვს, დანარჩენი თანხა მის საბანკო ანგარიშზე ირიცხება.

## ავსტრია

### პასპორტი მწეველი მოსწავლეებისათვის

ავსტრიულ ქალაქ ველსის ერთ-ერთ სკოლაში 16 წლის მოსწავლეებს შეუძლიათ „მწეველის სპეციალური პასპორტი“ გაიფორმონ. ეს პასპორტი მის მფლობელებს სკოლაში სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში სიგარეტის მოწევის უფლებას აძლევს. ასეთი უჩვეულო საბუთის მისაღებად მოსწავლემ სკოლის ხაზინაში 100 შილინგი (დაახლოებით 8 დოლარი) უნდა შეიტანოს. თუ პასპორტის მფლობელს უადგილო ადგილას მოწევაზე წაასწრებენ, პასპორტში სპეციალური აღნიშვნა შეაქვთ. თუ მეორედ წაასწრებენ, შენიშვნას საკლასო ჟურნალში ჩაუწერენ. მესამე დარღვევა 50 შილინგის ჯარიმით ისჯება. მეოთხე დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს პასპორტი ჩამოერთმევა, მისი გამოსყიდვა კი უკვე კარგა მოზრდილი თანხა ჯდება.

მწეველებისგან შემოსული ფულის ნაწილი მოწევისთვის განკუთვნილი ადგილების მოწყობას მოხმარდება, ნაწილი კი – სოციალურ საჭიროებებს.

# კლუბი, სახელად „ფლორო“



## „სალუტო, სინიორინო ლამარა!“

საქართველოში ძალიან ბევრგან – კერძო თუ სახელმწიფო საბავშვო ბაღებში, სკოლებში, მოსწავლეთა სახლებსა თუ სასახლეებში, ათასგვარ წრეებში თუ კერძო მასწავლებლებთან წარმატებით ასწავლიან უცხო ენებსაც, ცეკვასაც და სიმღერასაც, მაგრამ ალბათ, არსად ისე არ მიუხარიათ ბავშვებს მეცადინეობაზე, როგორც ნაძალადევის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში შექმნილ ესპერანტოს კლუბ „ფლოროში“.

მეცადინეობის დაწყების დროს, 11 საათს, არავინ ელოდება. ბევრად ადრე მოიჩქარიან აქეთ გოგობიჭები, თამამად შეაღებენ კარს, „სალუტო!“ – სახეგანათებულები მიესალმებიან ლამარა მასწავლებელს და აუცილებლად აკოცებენ. ასე იქცევა უკლებლივ ყველა ბავშვი. ასევე კოცნით ემშვიდობებიან მეცადინეობის დამთავრების შემდეგ – „ჯისლარევიდო“, ჩაბღუჯავენ მათთვის ტრადიციულად გამზადებულ ტკბილეულს და ფეხათრევით მიდიან შინ. არ ეთმობათ აქაურობა, ლამარა მასწავლებელი. ერთი-ორჯერ მაინც აუცილებლად შემობრუნდებიან, რაღაცას მოიმიზეზებენ, რაღაცას დააზუსტებენ, რაღაცას ჩაეკითხებიან, კიდევ ერთხელ აკოცებენ და მერეღა მიდიან საბოლოოდ. მაგრამ შინ მისულებიც არ ასვენებენ, წამდაუწუმ ტელეფონით ურეკავენ... მითხარით, ბევრი გეგულებათ დღეს ასეთი მასწავლებელი ან მოსწავლე-მასწავლებლის ასეთი ურთიერთობა? აქ კი მუდამ ასეა.

ქალბატონმა ლამარა ცუცქირიძემ 1978 წელს ჩამოაყალიბა ნაძალადევის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში ესპერანტოს კლუბი „ფლორო“, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ასეთი ტიპის დაწესებულებებში.




დღეს კლუბში 70-მდე სხვადასხვა ასაკის ბავშვია გაერთიანებული, რომლებიც დიდი ხალისითა და მონდომებით სწავლობენ ესპერანტოს, ქართულ და მსოფლიოს სხვა ხალხების ცეკვა-სიმღერებს. მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, თითოეული მათგანი სინიორინო ლამარასგან სწავლობს მოყვასის სიყვარულს, სამშობლოს სამსახურად მზადყოფნას, სიკეთის თესვას, შრომის აუცილებლობას, ურთიერთანადგომას. თავად ქალბატონ ლამარას ამ თვისებებს მშობლები, ღირსეული მამულიშვილები ალექსანდრე ცუცქირიძე და ნუნუ კლდიაშვილი უნერგავდნენ პატარაობიდანვე.

„ფლოროს“ აქვს თავისი პროგრამა, საკუთარი ჰიმნი, რომელიც პოეტ დ. მაზმიშვილის ლექსზე კომპოზიტორმა ჯ. ადამაშვილმა შექმნა. ყოველი მეცადინეობა, როგორც წესი, იმით იწყება, რომ ყველანი – მასწავლებელიც და მოსწავლეებიც „მამაო ჩვენოს“ წარმოთქვამენ. მერე პოლიტინფორმაციას ისმენენ, რის შემდეგაც წინა მეცადინეობაზე ნასწავლს იმეორებენ, სრულყოფენ, ახალს ითვისებენ და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევენ წინ, იფართოებენ და იღრმავებენ ცოდნას, იძენენ ჩვევებსა და თვისებებს, ხვალ და ზეგ რომ ასე გამოადგებათ ცხოვრებაში, საკუთარი მოწოდების, საქმის განსაზღვრაში.



მეცადინეობებზე ქალბატონ ლამარას მარჯვენა ხელია კონცერტმეისტერი ციცო წნორიაშვილი, რომელიც ათი წელია „ფლოროში“ მუშაობს.

## ესპერანტო – მეგობრობის ენა

არსებობს ეროვნული ენები, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული მთელ მსოფლიოში და რომლებზეც მილიონობით ადამიანი ლაპარაკობს. სადღეისოდ ყველაზე გავრცელებულ ენებად ითვლება: ინგლისური, ფრანგული, რუსული, ესპანური, გერმანული, ბოლო ხანებში ამ ენებს გვერდში ამოუდგა იაპონური, ჩინური, არაბული, სუახილი და რიგი სხვა ენებისა. თითოეული ამ ენათაგანი საერთაშორისოს როლს ჩემულობს, მაგრამ ყველა მათგანს ამაში ორი უმნიშვნელოვანესი გარემოება უშლის ხელს: ჯერ-ერთი თითოეული ეს ენა საკმაოდ ძნელი შესასწავლია; გარდა ამისა, არც ერთი სახელმწიფო ნებაყოფლობით არ აღიარებს სხვის ენას საერთაშორისოდ, პრივილეგირებული სახელმწიფო უსათუოდ იგრძნობს საკუთარ უპირატესობას სხვების წინაშე. ალბათ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ სხვადასხვა ეროვნების მეცნიერებს გაუჩნდათ ისეთი ენის შექმნის იდეა, რომელსაც ექნებოდა ყველაზე განვითარებული ენების ყველა დადებითი თვისება და რომელიც იმავე დროს თავისუფალი იქნებოდა შესასწავლად ძნელი გრამატიკული თუ სხვა წესებისაგან. ბოლოს და ბოლოს ასეთი ენა 1887 წელს პოლონელმა მეცნიერმა დოქტორმა ლაზარ ზამენგოფმა შექმნა და მას ესპერანტო დაარქვა. მსოფლიო ენის ეს სახელწოდება მომდინარეობს მისი შემქმნელის ფსევდონიმისგან, რომელიც მან მოაწერა თავის პროექტს ახალი ენის შესახებ. სიტყვა „ესპერანტო“ ლათინური ფუძიდან მომდინარეობს და



იმედის მომცემს ნიშნავს. მართლაც რომ გაუმართლდა ზამენგოფს იმედი, საერთაშორისო ენას მრავალ ქვეყანაში გამოუჩნდა ქომაგები, მათ შორის საქართველოში.



ესპერანტო ძველბერძნული, ლათინური, ფრანგული, იტალიური, გერმანული და სლავური ენებიდან ნასესხები ყველაზე გავრცელებული სიტყვებისგან შედგება. ზამენგოფმა, რომელიც რამდენიმე ენას ფლობდა, სწორედ ეს სიტყვები გამოიყენა ახალი ენის ლექსიკისთვის. ხსენებული ეროვნული ენებიდან არის ნასესხები ესპერანტოსთვის გრამატიკული წესებიც, ანბანად კი ლათინური ანბანია შერჩეული. ესპარენტო სულ მოკლე დროში იქცა საერთაშორისო ენად. მისით საქართველოშიც იმთავითვე დაინტერესდნენ. 1896 წელს გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „თბილისში ყალიბდება მსოფლიო ენის გამავრცელებელი საზოგადოება ესპერანტო. საზოგადოების მიზანს შეადგენს ამ ახალი მსოფლიო ენის გავრცელება რუსეთისა და საზღვარგარეთელი ესპერანტისტების მაგალითისამებრ“... მერე და მერე ესპერანტო ჩვენში მეტ-ნაკლები წარმატებით ვრცელდებოდა.

პირველი ქართველი ესპერანტისტი კი ბატონი გიორგი ბაქრაძე გახლდათ, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ამ ენის პოპულარიზაცია-გავრცელებაში. სწორედ ბატონი გიორგის სახელი ეწოდა მისი საქმის ღირსეული გამგრძელებლის, ქალბატონ ლამარა ცუცქირიძის მიერ დაფუძნებულ ესპერანტოს მუზეუმს. გიორგი ბაქრაძეს მუზეუმში ცალკე სტენდი აქვს დათმობილი. მუზეუმის შექმნაში, მისი ექსპოზიციის გამდიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვით გიორგი ბაქრაძის ვაჟიშვილებს, შესანიშნავ ქართველ ესპერანტისტს, „ვეფხისტყაოსნის“ ესპერანტოს ენაზე მთარგმნელს ბატონ ზურაბ მაყაშვილს.

„Mia ikono - mia patrio,
Ikonostaso - la universo!“
– „ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე – მთელი ქვეყანა“

– აკაკის ეს სიტყვები ამშვენებს კლუბ „ფლოროსთან“ შექმნილ ესპერანტოს მუზეუმის ერთ-ერთ კედელს. ამ სულისკვეთებით – სამშობლოს სიყვარულით, მშობელი ხალხის ერთგულებით და სხვა ხალხების პატივისცემით ზრდის აგერ უკვე ოცი წელია ქალბატონი ლამარა ცუცქირიძე გოგო-ბიჭებს, რომლე-

ბიც მისი წყალობით მარტო ესპერანტოს კი არ ეუფლებიან, მარტო ცეკვებსა და სიმღერებს კი არ სწავლობენ, არამედ განათლებულ, კეთილ, გულისხმიერ, თავაზიან, შრომისმოყვარე, მაძიებელ ადამიანებად ყალიბდებიან. ალბათ ამიტომ არ აკლდება „ფლოროს" წევრები, ამიტომ ტრიალებენ გამუდმებით როგორც ფარვანები სინათლეზე, ლამარა მასწავლებლის გარშემო ბავშვები. გარდა იმისა, რომ ქალბატონი ლამარა თავად ასწავლის მათ ესპერანტოსაც, ცეკვებსაც და სიმღერებსაც, თავისთავისვე შეუმჩნევლად იგი მათთვის დაუღლელი შრომის, ხალისის, სიკეთის ქმნისა და თანადგომის უთვალსაჩინოესი მაგალითია. მოვიშველიებთ რამდენიმე ჩანაწერს გიორგი ბაქრაძის სახელობის ესპერანტოს მუზეუმში დაცული ალბომებიდან:

„გული გვწყდება მე და ჩემს შვილს, რატომ ადრე არ მოვედით ამ პატარა შენობაში"...

„ქალბატონო ლამარა, მადლობა კეთილი გულისთვის, იმ მშვენიერი სულისთვის, რომელიც თქვენ გაქვთ და გამშვენებთ. ვის შევადაროთ, არ ვიცი, რომელ დედოფალს, რომელ ქალღმერთს, ოთარაანთ ქვრივს თუ დედა ტერეზას..."

„ენების, ცეკვების, სიმღერების შესწავლა ყველგან შეიძლება, თქვენთან ბავშვები ზნეობრივად და სულიერად მაღლდებიან"...

„სინიორინო ლამარა, ნება მომეცით, უდიდესი და უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ როგორც მშობელმა. იმ სიხარულისთვის და ბედნიერებისთვის, რომელსაც თქვენ ჩვენს შვილებს ანიჭებთ. მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ, როგორც ქალმა, როგორც აღმზრდელმა, როგორც მოქალაქემ იმისათვის, რომ ჩვენ თქვენგან ბევრ რამეს ვსწავლობთ!





თქვენი გაკვეთილები, თქვენი პიროვნება, თქვენი მოქმედება და შემოქმედება სავსეა ჰუმნიზმით, პატრიოტიზმით, ინტერნაციონალიზმით და ყოველგვარი კეთილშობილიზმებით"...

თუ ვინმეს ოდნავ მაინც შეეპარება ეჭვი ამ სიტყვების გულწრფელობაში, ვიწვევთ ნაძალადევის რაიონის მოსწავლეთა ცენტრში არსებულ კლუბ „ფლოროს" მეცადინეობაზე ყოველ ხუთშაბათსა და კვირას იმის ღრმა რწმენით, რომ ქალბატონ ლამარას დამატებით კიდევ ერთი ალბომის ყიდვა მაინც დასჭირდება სულ ახალ-ახალი მადლობის სიტყვების ჩასაწერად, თორემ არსებულ 17-ში სუფთა ფურცლები ნამდვილად აღარ არის დარჩენილი.

ეს „ფლოროს" ძველი თუ ახალი წევრების მშობელთა მადლობებია, ოფიციალური აღიარება-მადლობები კი უთვალავ დიპლომებსა თუ სიგელებშია დაფიქსირებული, ასე დამსახურებულად რომ უბოძებიათ ქალბატონი ლამარა ცუცქირიძისთვის საქართველოს განათლების სამინისტროს, გაერთიანებულ სამხედრო აკადემიას, ნაძალადევის რაიონის განათლების განყოფილებას, ესტონელ ესპერანტისტებს, საქართველოს ქალთა საბჭოს პრეზიდიუმს, მსოფლიოს მშვიდობის ესპერანტისტთა მოძრაობას, კერძოდ მისი პრეზიდენტს იმრე პეტეშის, მოსკოვში საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურს" და ბევრ სხვა დაწესებულება-ორგანიზაციას თუ პიროვნებას საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ. სადღა არ იცნობენ „ფლოროსა" და მის ხელმძღვანელს. ქალბატონი ლამარას აღზრდილებმა და ამჟამინდელმა აღსაზრდელებმა ურეკის საერთაშორისო ბანაკშიც ბევრჯერ ისახელეს თავი, ბორჯომში გამართულ ინტერნაციონალური კლუბის მიერ მოწყობილ ღონისძიებაშიც „სიყვა-





რული გზად და ხიდად“, მოსკოვში ქართული კულტურის ცენტრ „მზიურშიც“, ბუდაპეშტში მსოფლიოს საერთაშორისო XI გენერალურ კონფერენციაზეც, ბულგარეთში მშვიდობის VI საერთაშორისო კონფერენციაზეც და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ – კლუბის ყველა წარმატების უბრალოდ ჩამოთვლაც კი შეუძლებელია.

როცა „ფლოროს“ წარმატებულ საქმიანობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ნაძალადევის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანე-





ლის ქალბატონ ლია გაგნიძის ხელშეწყობა და ამავე რაიონის განათლების განყოფილების გამგის ბატონ დემურ კალანდაძის ყურადღება და დახმარება-თანადგომა. რომ არა მათი მზრუნველობა, დღევანდელ ვითარებაში ესპერანტისტებს ძალზე გაუჭირდებოდათ.

## „ფლორო“ სრული შემადგენლობით

წამყვანი სოლისტები ბექა პაიჭაძე, ნანა ყამარაული, დები ნატო და ლელა კაშიები; მოსკოვის კინოფესტივალის ხუთი გრან-პრის მფლობელი ლევან კახიშვილი, რომელმაც ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსნის“ 200 სტროფი ქართულად, 5 სტროფი – გერმანულად, 5 – ესპერანტოს ენაზე; ასევე წამყვანი სოლისტი-მომღერლები ქეთი ხოდონაშვილი და ნინო ხუგაშვილი, თამთა დურმიშიძე; წამყვანი მოცეკვავეები რობერტ და რამაზ კელაპტრიშვილები; უნიკალური სოპრანოს პატრონი, მომღერალი ლიკა ბარბაქაძე; მოცეკვავეები: ქეთი როსტიაშვილი და ნატალია ნოზაძე; წამყვანი მოცეკვავე-მომღერლები მაკა ბარბაქაძე, ნინო და სოფიკო გოგოლაშვილები; მომღერალი ლიკა საყვარელიძე; მოცეკვავე არზუ ალიევა; წამყვანი მოცეკვავე, ევროპული ცეკვების უბადლო შემსრულებელი გიორგი გაგნიძე; მშვენიერი ტენორი გიორგი ბარამიძე; სამი მოცეკვავე-მომღერალი და – სოფიო, მაია, თეონა ჯელაძეები; მომღერალი და-ძმა გვანცა და კახა კახიანები; მომღერალი დები მარი და ნათი მარგველიძეები, კრისტი და ანა ცოფურაშვილები; მომღერალი მეგი საღარაძე; ესპერანტოს საუკეთესო მცოდნე ნინო ჩიტაური, თაკო გოგეშვილი; „ფლორაში“ აღზრდილი ესპერანტისტის ზაზა გოგეშვილის შვილი, „ფლოროს“ მშვენება ბიჭების კვარტეტი გოგიტა ლაშაურის, ჯაბა ჯინჭარაძის, კახა და კობა აზვლედიანების შემადგენლობით; სალომე ხუგაშვილი; გიორგი გაგლოევი; თამუნა ბაბუციძე; ანა მიქაძე; ნინო პეტრიაშვილი; ნანა ლობჟანიძე; თეონა ზარაფიშვილი; ნინო თაქთაქიშვილი; სალომე ბარამიძე; ლელა კახნიაშვილი; სალომე შაკაია; ნინო ოზერანსკი;მაია მორბელაძე; ლანა ცარციძე; ელისო ღვინიაშვილი; დები ქეთი და ნინო ხოკერაშვილები; გვანცა გიორგაძე; თეონა შეყილაძე; ნათია კუტუბიძე; ნესტან ბარათაშვილი; დიდებული სოპრანოს პატრონი ლიკა ჯანანაშვილი და მისი და-ძმა – მაია და ლაშა; მარიამ შუბითიძე; რუსუდან ტეფნაძე ესპერანტოს საუკეთესო მცოდნეები ნანა და ნინო ბარნოვები; დები ნათია და ნანა ყეინიშვილები; და-ძმა ბექა და ანა კალანდაძეები; დები სალომე და ნათია მაჭარაშვილები; დები ნინო; თამარ და პატარა ქეთი კობახიძეები; ანუკი ადეიშვილი და რაღა თქმა უნდა, „ფლოროს“ სული და გული, მისი დამფუძნებელი და მაცოცხლებელი, ულევი ენერგიის, ხალისის, ენთუზიაზმის მატარებელი და გამცემი ექიმი-კოსმეტოლოგი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი, გაზეთ „ქალთა გაზეთის“, ჟურნალ „ქართული მოდის“, საქართველოს რადიოს კონსულტანტი, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, წლის საუკეთესო პედაგოგი, საქართველოს ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი და კიდევ სხვა მრავალი ტიტულისა და წოდების მფლობელი ესპერანტისტთა რიგი საერთაშორისო თუ მსოფლიო კონფერენციებისა და კონგრესების აქტიური მონაწილე ქალბატონი ლამარა ცუ...იძე.

# მაინც რომელი თამაშია ბეისბოლი?

გვიკარნახეთ თემა



**ფილმების მიხედვით დაახლოებით ვხვდებით რას წარმოადგენს ბეისბოლი, მაგრამ გვინდა უფრო დაწვრილებით ვიცოდეთ.**

*ზაალ ცხვეთაძე, ერეკლე სოვდაგრიშვილი*

დღეს მთელ მსოფლიოში პოპულარული თამაში ბეისბოლი 160 წლის წინათ იშვა ამერიკის კონტინენტზე. 1839 წელს აშშ-ს არმიის პოლკოვნიკმა აბნერ დაუბლიტმა გააერთიანა ინგლისში ჯერ კიდევ შექსპირის დროს ცნობილი ორი თამაში – ფორ-ოლდკეტი და ტაუნბოლი და ასე იშვა ბეისბოლი (ინგლ. „ბაზა“ და „ბურთი“).

მაინც რას წარმოადგენს ეს თამაში, ჩვენში რომ ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი, მაშინ როცა მსოფლიოს 20-მდე ქვეყანაში სპორტის ყველაზე მასობრივ, ექვს ქვეყანაში კი ეროვნულ სახეობად ითვლება? ჯერ მარტო ამერიკის კონტინენტზე ბეისბოლს 20 მილიონზე მეტი სპორტსმენი თამაშობს. აშშ-ში, იაპონიაში, ლათინურ ამერიკაში ბეისბოლი მარტო სპორტი კი არ არის, არამედ ეროვნული კულტურის ნაწილი, ქვეყნის სიმბოლო, ყოველი მოზარდის სანუკვარი ოცნება.

მოკლედ თვით თამაშის შესახებ.

შეიძლება ერთი შეხედვით ბეისბოლი სტატიკურ, ზოგჯერ კი ერთფეროვან თამაშადაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ საკმარისია ერთი ზუსტი დარტყმა, რომლის შემდეგაც ბურთი საათში 240 კმ/სთ სიჩქარით მიქრის, რათა ირგვლივ ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით დატრიალდეს. იწყება მოთამაშეთა გადარბენები, რომლებიც ცდილობენ ხელში ჩაიგდონ მოწინააღმდეგის ბაზები, ბურთის სანტიმეტრამდე მოზომილი გადაცემები 100 მეტრზე და თავდამცველთა თავდადებული ბრძოლა პოზიციების დასაცავად. მერე აქტიურობა ერთბაშად ცხრება და ტრიბუნებიც მშვიდდება. მილიონობით თვალი კვლავ სამ ძირითად ფიგურას: „პიტჩერს“, „კეტჩერსა“ და „ბეტერს“ მისჩერებია... არა, ბეისბოლი საკუთარი თვალით უნდა ნახოთ, რათა სრულად აღიქვათ მისი ეშხი.

ბეისბოლის გუნდში ცხრა მოთამაშეა, ექვსი – ცენტრალური და სამი – მინდვრისა. მოედანს დაახლოებით ერთი ჰექტარი უჭირავს (175X125 მ). ცენტრალურ ნაწილში განლაგებული ოთხი ბაზისგან შემდგარი კვადრატის (ინფილდ-შიდა მოედანი) სიგრძე 27, 45 მეტრია (ჭაბუკებისთვის – 25), კვადრატის ცენტრში გამოყოფილია ადგილი მტყორცნელისთვის (პიტჩერისთვის) – 60X15 სმ. ზომის ფირფიტა. პირველი, მეორე და მესამე ბაზები 38 სანტიმეტრიანი გვერდის მქონე მიწაზე დამაგრებულ რბილი მასალის (მაგ. სილიანი ტომრების) კვადრატებს წარმოადგენს. შეთეთრებული რეზინის შინაური ბაზა - სახლი ხუთკუთხაა.

ბეისბოლის მატჩს ოთხი მსაჯი ემსახურება – თითო ყოველ ბაზაში, მთავარი არბიტრი კეტჩერის უკან იკავებს ადგილს და ტყორცნების სიზუსტეს ადევნებს თვალს. მის კვალიფიკაციასა და ობიექტურობაზე დამოკიდებულია თამაშის მთელი მსვლელობა. არაობიექტურობაში ერთხელ შემჩნეულ არბიტრს არავითარ შემთხვევაში აღარ დაუშვებენ სამსაჯოდ.

ბურთის მტყორცნელსა და დამჭერს ცალ ხელზე აცვიათ სქელი ტყავის ხელთათმანი, გარდა ამისა, ისინი იკეთებენ წვივსაცავებსა და სახის დამცავ ჩაფხუტებს. დანარჩენ მოთამაშეებს აცვიათ სპორტული ფეხსაცმელი, გეტრები, სპორტული შა-





რვალი, მაისური, წელზე შემორტყმული აქვთ ქამარი, თავზე კეპი ახურავთ.

ტირიფის ხისგან გამოთლილი ბეისბოლის ტაფელის სიგრძე 106,7 სმ-ია, ტაფელის დასარტყმელი თავის გარშემოწერილობა – 6,98 სმ. ბურთს აქვს ორმაგი ტყავის კამერა, დაფარულია შალის ქსოვილით და გარედან ცხენის ტყავი აქვს შემოკრული. იგი 142-150 გრამს იწონის, ხოლო მისი გარშემოწერილობა 23 სმ-ია.

ბეისბოლში სათამაშო დრო არ არის განსაზღვრული, თამაშდება 9 ტაიმი (ინინგი), რომელთა დროსაც გუნდები ერთმანეთს ცვლიან მოედანზე.

ბურთი თამაშში შეაქვს ბაზის ცენტრში მყოფ მოთამაშეს – მტყორცნელს (№1). ბურთს იგი ხელით ტყორცნის თანაგუნდელი დამჭერისაკენ (ქეთჩერი №2).

თამაშის დასაწყისში №2 მოთამაშის სიახლოვეს მეტოქე გუნდის ერთი მომგერიებელია (ბეთერი). მისი ამოცანაა, ტაფელით რაც შეიძლება შორს გადააგდოს ბურთი, რათა მინდვრის მოთამაშეებმა იგი ვერ დაიჭირონ. თუ მომგერიებელმა ბურთი გადააგდო, ამის შემდეგ ტაფელსაც გადააგდებს და გარბის პირველი ბაზისაკენ, სადაც მანამ უნდა მოასწროს მისვლა, სანამ იქ ბურთს მიიტანენ (ან ტყორცნიან). თუ მომგერიებელმა მეტოქის „ბანაკში“ დაიკავა ადგილი, ყველაფერი თავიდან იწყება, ოღონდ ახლა უკვე მეორე მომგერიებელი მოთამაშე ცდილობს, წაართვას ბურთი დამჭერს. ბაზებზე ერთდროულად შეიძლება შევიდეს 4 მოთამაშე. მათი საბოლოო მიზანია, სამივე ბაზას შემოურბინონ და დაბრუნდნენ მეოთხე, ძირითად ბაზაში (იქ, საიდანაც გამოიქცნენ). ეს გუნდს ერთ ქულას აძლევს. გამარჯვებულად ცხადდება გუნდი, რომელიც ცხრა ტაიმის განმავლობაში მეტ ქულას დააგროვებს.

სათადარიგო მოთამაშეებს შეუძლიათ ნებისმიერ წუთს ჩაებან ბრძოლაში. გაძევებულს მინდორზე დაბრუნების უფლება არა აქვს. თუ თავდამსხმელი მოთამაშე ბურთს ურიგოდ ან ბაზის ფარგლებს გარეთ ტყორცნის; თუ ერთი წუთის განმავლობაში არ იქნება ბაზაზე, საიდანაც უნდა დაარტყას ბურთი; თუ ხელს უშლის ბურთის მიმღებ მოთამაშეს ან მხრით და ფეხით იგერიებს ბურთს, იგი თამაშიდან გადის.

ბუნებრივია, დაცვაში მყოფი მოთამაშეები ცდილობენ ხელი შეუშალონ მომგერიებელს ქულის აღებაში (დაშვებულია ძალისმიერი ილეთებიც).

მინდვრის მოთამაშეები ცდილობენ ბურთი ჰაერში დაიჭირონ თუ ეს შეძლეს, მომგერიებელი გადის მინდვრიდან.

რთულია №1 მოთამაშის ფუნქცია: მან ისე უნდა ტყორცნოს ბურთი, რომ წინ ჩაუაროს მომგერიებელს (ოღონდ არა მუხლებზე დაბლა და მხრებზე მაღლა), თან ძირითად ბაზას გადაუფრინოს და მიუვიდეს დამჭერს.

მომგერიებელმა, რომელიც განსაზღვრულ მონაკვეთში დგას და წინ ან უკან ნაბიჯის გადადგმის უფლებაც კი არა აქვს, ისე უნდა მოარტყას ბურთს ტაფელი და გასტყორცნოს ცხრა მეტოქის იქით, რომ ის ვერავინ დაიჭიროს. ამ დროს მინდვრის მოთამაშეები ცდილობენ, ბაზისაკენ ელვისებურად ტყორცნონ ბურთი.

ბეისბოლის ნაირსახეობა, უფრო სწორედ გამარტივებული ვარიანტია საფტბოლი. მას ძირითადად გოგონები და მოზარდი ბიჭები თამაშობენ. სხვაობა ორ თამაშს შორის იმაში გამოიხატება, რომ გუნდში 10 მოთამაშეა, მოედანი უფრო პატარაა, თითქმის ორჯერ უფრო დიდია ბურთი და უფრო მსუბუქია ტაფელი. დანარჩენში კი ეს ორი თამაში თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისგან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ ვამბობთ ასე?

**მარილზე წასვლა, მარილზე გაგზავნა ალზევანს (გარდაცვალება).** საქართველოში საკუთარი მარილის საბადოების უქონლობის გამო, წინათ ქვამარილისთვის ალზევანს მიდიოდნენ ხოლმე. ქართლიდან წამსვლელები უნდა ჩასულიყვნენ სოფელ ქვათახევში, იქიდან — მანგლისში, წალკაში და იქიდან — ალზევანში, კახეთიდან წამსვლელებს კი უნდა გაევლოთ სართიჭალა, ბორჩალო, გუმბრი. ორივე შემთხვევაში გზა გრძელი და სახიფათო იყო. მარილის მოსატანად მიდიოდა 80-100 ურმისგან შემდგარი ქარავანი. ერთ გზას მთელი თვე უნდებოდნენ. გზაში მეურმეებს უხვდებოდნენ ოსმალები, ძარცვავდნენ, გაძალიანების შემთხვევაში კი ხოცავდნენ კიდეც. ამიტომაც მარილზე წამსვლელის უკან დაბრუნება სათუო იყო და მას წინდაწინვე გამოიტირებდნენ ხოლმე, გამოთქმა „მარილზე წასვლა" სიკვდილის სინონიმად იქცა.

**მამა გიცხონდება** (ისემც გაიხარე, ისემც დიდი სიკეთე დაგემართოს). ამ გამოთქმას ნიშნის მოგებით ხმარობენ, როცა ვინმე ვისმე ედავება, უნდა ძალით წაართვას, მაგრამ მოწინააღმდეგე არ უთმობს და დაცინვით ეუბნება: მამა გიცხონდება, რაც შენ ვერაფერი წამართვა, ჩემგან ვერაფერი წაილოო... ე.ი. რაკი ვერას წამართმევ, ვერც მამა გიცხონდებაო. ზოგჯერ დაფიცების ფორმულადაც იხმარება: ერთი, მამა გიცხონდება, უარს ნუ მეტყვი, ნუ გამაცუდებო.

**მამასისხლად გაყიდვა ან სესხება (მეტად ძვირად)** — მამის სისხლის მსგავსად, რომელსაც ფასი არ დაედება, მეტად ძვირია.

**ქუდზე კაცის გამოსვლა** — ყველა მამაკაცის გამოსვლა საბრძოლველად. იგულისხმება, რომ ქუდს ატარებს მამაკაცი, ვისაც ხელში იარაღის ჭერა და მტერთან ბრძოლა შეუძლია. როცა საქმე გაჭირდება და მტერი მეტად მოძალებულია, ვინც მამაკაცია და იარაღის ასხმა შეუძლია, ყველა უნდა გავიდეს ბრძოლის ველზე და მტერი მოიგერიოს.

## რა და რას ჰქვია რას და რას






## სიტყვის კონა

**ღვარეული** – მოცელილი, მოთიბული ბალახი, ყანა, ნათიბშივე რომ ზოლ-ზოლად დევს.

**ყინჩი** – კარგი, ლამაზი, მოხდენილი.

**ქილიფთარი** – ღვინისა და საერთოდ სასმელების მწე; პირის მეღვინე.

**მარმაში** – თხელი, გამჭვირვალე ქსოვილი.

**ნუჟრი** – ხის ტანზე, ტოტებზე თუ ფესვზე გაჩენილი ავადმყოფური ამონაბურცი.

**ამბიონი** – ამაღლებული ადგილი ეკლესიაში.

**აყლარწული** – ტანწვრილი და უშნოდ მაღალი (ადამიანი).

**ბაბლი** – საბანზე შეკერილი სამკუთხა სახე, სამკუთხა ნაჭრები, რომლებისგანაც იკერება საბანი.

**ბაზიერი** – ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშველ-მწვრთნელი და ყურისმგდებელი.

**ბეითალი** – საქონლის ექიმი.

**ბომონი** – წარმართთა ტაძარი; სვეტი, რომელზედაც კერპს აღმართავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი

მასწავლებელი: დამისახელე კანადის მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა.

მოსწავლე: ჰოკეი.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: რას აკეთებს ჭიაყელა, როცა მზეზე მოხვდება?

მოსწავლე: შრება.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: რატომ ახვევენ ტანსაცმელზე ცეცხლწაკიდებულ ადამიანს პალტოს ან საბანს?

მოსწავლე: იმიტომ რომ არ გაცივდეს.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: რით იკვებებიან ვეშაპები?

მოსწავლე: გემებით.

☺ ☺ ☺

ვუნდერკინდი რუსული ენის გამოცდაზე სხაპასხუპით პასუხობს. მასწავლებელი გაოცებული ეუბნება:

— პეტროვ, რა ხდება? შენ ხომ ჩინურად ლაპარაკობ!

— უფ, მასწ, წუხელ სიბნელეში თაროდან სხვა სახელმძღვანელო ჩამომიღია.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: ახლა კი მე პითაგორას თეორემას დაგიმტკიცებთ.

მოსწავლეები: რად გვინდა, მასწავლებელო, ჩვენ ისედაც გვჯერა თქვენი.

☺ ☺ ☺

მასწავლებელი: გაიმეორე, რა ვთქვი!

მოსწავლე: თქვენ არ გვითხარით, სხვის ნათქვამს თუთიყუშივით ნუ იმეორებთო.

☺ ☺ ☺

— ტოტო, როგორ გამოიცნობ, ქათამი ახალგაზრდაა თუ ბებერი?

— კბილებით, მასწავლებელო.

— კი მაგრამ ქათამს რომ კბილები არა აქვს?

— სამაგიეროდ, მე მაქვს.

☺ ☺ ☺



— რატომ არ მოაწერინე მშობელს დღიურში ხელი? — ჰკითხა მასწავლებელმა ალექსს.

— ექიმმა დედაჩემს ნერვიულობა აუკრძალა.

☺ ☺ ☺

— ჭექა-ქუხილის დროს კატას ბეწვი რომ აუბურძგნო, რა გეცემა თვალებში?

— კატა, მასწავლებელო.

☺ ☺ ☺

— ამ ბოლო ხანს შენ ძალიან გაბეჯითდი, ხომ არავინ გეხმარება გაკვეთილების მომზადებაში?

— არავინაც არ მეხმარება, მასწ., უბრალოდ, თითქმის ერთი თვეა, რაც ტელევიზორი გაგვიფუჭდა.

☺ ☺ ☺

— შემოდი, რატომ დაიგვიანე გაკვეთილზე?

— დღეს ყინავს და ქუჩები მოლიპულია, ერთ ნაბიჯს რომ წინ გადმოვდგამდი, ორი ნაბიჯი უკან მისრიალებდა.

— რას ამბობ? მაშ, სკოლამდე როგორ მოაღწიე?

— როგორ და სკოლისკენ ზურგით შევბრუნდი, პირი კი სახლისკენ ვქენი.

☺ ☺ ☺

როგორც იქნა, პიერმა გამოცდა ჩააბარა. შინ დაბრუნებულს მშობლებმა ჰკითხეს, როგორი გამომცდელი შეგხვდაო.

— ძალიან მორწმუნე ყოფილა. ყოველი ჩემი პასუხის შემდეგ სულ „ღმერთო ჩემო"-იძახდა. — უპასუხა პიერმა.

☺ ☺ ☺

— ყოველთვის ჭუჭყიანი ყურებით რატომ მოდიხარ სკოლაში, კურტ?

— სხვა ყურები არა მაქვს, ბატონო მასწავლებელო.

☺ ☺ ☺

— საოცარია, ერთ დღეს ამდენი სისულელე როგორ ჩაიდინე?

— ძალიან ადრე ავდექი.

☺ ☺ ☺

— გინდა, ხვალ ჩემთან ერთად ივახშმო? — შესთავაზა მეგობარს ოტომ.

— დიდი სიამოვნებით, — მიუგო მან.

— მაშ ხვალ, საღამოს რვა საათზე შენთან ვიქნები.

☺ ☺ ☺

მასწავლებელმა ერთ-ერთი მოსწავლე გამოიძახა:

— პეტერ!

არავინ უპასუხა.

— პეტერ!

ბოლო მერხიდან ვიღაცამ ჩუმად უპასუხა:

— ბატონო მასწავლებელო, პეტერმა დაიძინა და გვთხოვა, არ გამაღვიძოთო.

☺ ☺ ☺

ილუზიონისტმა მაყურებელთა დარბაზში მჯდომი ბიჭუნა სცენაზე მიიწვია და უთხრა:

— ჩემო პატარავ, გააგებინე ხალხს, რომ ჩვენ პირველად ვხედავთ ერთმანეთს.

— დიახ, მამიკო...

☺ ☺ ☺

— ტოტო, რა არის ეს, როგორ დაგიჯღაბნია?! ასოები, ასოებს არ ჰგავს, თანაც მოთხუპნულია, შენს ასაკში, მე უკეთესად ვწერდი, — დატუქსა მოსწავლე მასწავლებელმა.

— რა ვქნა, ალბათ თქვენ უკეთესი მასწავლებელი გყავდათ.

# ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისათვის“



**1. საქართველოს მეფე თეიმურაზ II განისვენებს...**

ა) ...პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში;

ბ) ...მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში;

გ) ...ასტრახანის მიძინების ტაძარში;

დ) ...ძველი შუამთის ეკლესიაში.

**2. ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე აღმართული დავით გურამიშვილის ძეგლის ავტორია მოქანდაკე...**

ა) ...ელგუჯა ამაშუკელი;

ბ) ...მერაბ ბერძენიშვილი;

გ) ...ზურაბ წერეთელი;

დ) ...გიორგი შხვაცაბაია.



**3. მეფე თეიმურაზ I და მისი მეუღლის ამ სურათს, ისევე როგორც იტალიელი მისიონერის დონ ქრ. კასტელის მიერ საქართველოში შესრულებული ჩანახატების მთლიან ალბომს პალერმოს ბიბლიოთეკაში მიაკვლია დიდმა მამულიშვილმა...**

ა) ...მიხეილ თამარაშვილმა;

ბ) ...ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა;

გ) ...მიხეილ თარხნიშვილმა;

დ) ...პეტრე ხარისჭირაშვილმა.

**4. პირველი ქართული ტექსტით ნაბეჭდი წიგნი ქართულ-იტალიური ლექსიკონი დაიბეჭდა რომში...**

ა) ...1517 წელს;

ბ) ...1629 წელს;

გ) ...1717 წელს;

დ) ...1612 წელს.

**5. მსოფლიოს ყველაზე მაღალი მოქმედი ვულკანი კოტოპახი (5896 მეტრი) მდებარეობს...**

ა) ...ეკვადორში;

ბ) ...მექსიკაში;

გ) ...კამერუნში;

დ) ...ჰავაის კუნძულებზე.



**6. ჩვენი პლანეტის უდიდესი კუნძულია...**

ა) ...ახალი გვინეა;

ბ) ...მადაგასკარი;

გ) ...სუმატრა;

დ) ...გრენლანდია.

*ვიქტორინა „ჭკუის კოლოფის“ წინა ტურის სწორი პასუხები ასე გამოიყურება:* 1. მელიტონ ბალანჩივაძე; 2. ივანე მაჩაბელი; 3. მონაკო; 4. სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი; 5. რომში; 6. კულა.

# იწილოთ–მიწილოთ



შემოხაზეთ, ხელის ერთი მოსმით.

**პაპა და შვილიშვილი**

პაპა 56 წლისაა, შვილიშვილი – 14-ის. როდის იქნება პაპა შვილიშვილზე ორჯერ უფროსი?

დონ-კიხოტის როსინანტი კი ადგილზეა, მაგრამ ქარის წისქვილებთან მებრძოლი მწუხარე სახის რაინდი არსად ჩანს. იპოვეთ იგი.



**ხოხბები და ბაჭიები**

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2600 წლის წინათ შედგენილ ჩინურ მათემატიკურ ტრაქტატში „კიუ-ჩანგი“ მოცემულია ერთი მეტად საინტერესო ამოცანა. გალიაში უცნობი რაოდენობის ხოხბები და ბაჭიები მოათავსეს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გალიაში 35 თავი და 94 ფეხი იყო. დაადგინეთ ხოხბებისა და ბაჭიების რაოდენობა.

**სამხერხაოში**

სამხერხაოში მანქანა 1 წუთში მორს 1 მეტრის სიგრძის ნაჭერს ახერხავს. რამდენ წუთში დაიხერხება ასეთ ნაწილებად 10 მეტრის სიგრძის მორი?

**პითაგორას სკოლა**

ერთხელ პითაგორას ჰკითხეს, რამდენი მოწაფე დადიოდა სკოლაში და ისმენდა მის საუბრებს.

დიდმა ფილოსოფოსმა ასე უპასუხა:

– ნახევარი მათემატიკას სწავლობს, მეოთხედი – მუსიკას, მეშვიდედი ნაწილი დუმილს ამჯობინებს და, გარდა ამისა, სკოლაში კიდევ სამი ქალია.

რამდენი მოწაფე იყო სკოლაში?

ჯ8 2841/1



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რიკი მარტინი



რიკი მარტინიმ ათი წლის ასაკში უკვე იცოდა, რა უნდა ეკეთებინა. სწორედ მაშინ ნახა პირველად პუერტორიკოელი ბიჭების პოპ-ჯგუფ Menudo-ს გამოსვლა და მიხვდა, რომ მისი ადგილი მათ შორის იყო. იგი ორჯერ მივიდა მოსმენაზე, მაგრამ ორივეჯერ უარით გამოისტუმრეს, მეტისმეტად პატარა ხარო. მესამეჯერ თორმეტი წლისამ მიაკითხა და თავისასაც მიაღწია – მიიღეს. Menudo-ს შემადგენლობაში ხუთი წელი იმუშავა, 17 წლისამ კი გადაწყვიტა, ახლა კი დროა დამოუკიდებელ გზაზე ვიფიქროო და ნიუ-იორკს მიაშურა. თავიდან არაფერი გამოუვიდა და ჭაბუკი რიკი ისევ მშობლიურ ლათინურ ამერიკას დაუბრუნდა – მექსიკაში გადასახლდა. მალე ერთ-ერთ მექსიკურ ტელესერიალში მიიწვიეს და შესაძლებლობა მიეცა პირველ სოლო ალბომზე დაეწყო მუშაობა. ალბომი, რომელსაც „Ricky Martin“ ერთქვა, 1992 წელს გამოვიდა. მომდევნო წელს გამოვიდა მომღერლის მეორე ალბომი „Me amaras“. ესპანურენოვან ქვეყნებში რიკის ორივე ალბომმა „ოქროს“ სტატუსი მოიპოვა. წარმატებით წახალისებული ხელოვანი ლოს-ანჯელესში გადასახლდა, სადაც მიიწვიეს ტელესერიალში „ცენტრალური საავადმყოფო“, პარალელურად კი მესამე ალბომზე მუშაობდა. ამ ნამუშევარსაც („A medio rivir“) „ესპანური ოქრო“ ერგო, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ მარტინი ბროდვეიზე დადგმულ მიუზიკლ „განკიცხულებში“ მიიწვიეს მარიუსის როლზე.




რიკი მარტინის მეოთხე ალბომმა „Velve“ „ლათინური პოპის საუკეთესო ალბომის“ კატეგორიაში 1998 წლის „გრემი“ მიიღო. დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ კი რიკი მარტინიზე მსოფლიო ალაპარაკდა. სწორედ ამის შემდეგ შესთავაზა მადონამ დუეტის ჩაწერა. ერთობლივი მუშაობის ათმა დღემ კიდევ ერთხელ დაარწმუნა მარტინი, რომ ვარსკვლავის ცხოვრება მუდმივი მუშაობა, მძიმე შრომაა. მადონა-მარტინის სიმღერებმა „Feels Good!“ „Livin La Vida Loca“ და სხვ. დიდი წარმატება მოუტანა ორივეს.